ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 28 ოქტომბერი 2004 №251 (2272) ფასი 50 თეთრი


## კალა-გოლი ატალანტასთან




REUTERS მილანიდან



მურაზ ლორთქიფანიძის ფოტო

## ხახალეიშვილმა უკან არ დაიხია: მანდატი დახია


საქარ... ...ველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია
IV ყრილობა
27 ოქტომბერი 2004 წელი
დელე... ...ტის მანდატი № 33
ბ-ნი ქ-ნი ხახა... ...ლეიშვილი დავით
არჩეულია საქართ... ...ველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცი... ...ის
IV ყრილობის დელეგა... ...ტად.
სამანდატო კო... ...მისია

## მოუკვლელი გული



*თუ საქმე ასე წავიდა, თბილისში მკვდრეთით აღდგება მისი ერთ-ერთი სიდიადე, მისი დაჩხვლეტილი და დამცირებული, მაგრამ მაინც მოუკვლელი საფეხბურთო გული — „დინამოს“ სტადიონი.*

*მერიას ხელი სერიოზულად მოუკიდია იმისთვის, რომ ეს ასე იყოს და ამაზე კარგს რას მოიმოქმედებ კაცი?!*

*„დინამოს“ სტადიონი იღვიძებს მრავალწლიანი ძილის და დამცირების შემდეგ და ამაყად იტყვის: დიახ... დიახ... სწორედ ის ადგილი ვარ... სწორედ ის! ხოლო რა ადგილია, ყველამ ვიცით.*

## ინგლისი

პირველი ლიგა
გადადებული მატჩი

სუინდონი 3:2 შეფილდ უენსდი

ლიგის თასი. 1/16 ფინალი

ბირმინგემი 0:1 ფულემი
ჩელსი 1:0 ვესტ ჰემი
მანჩესტერ სიტი 1:2 არსენალი
ნიუკასლი 2:1 ნორვიჩი
საუთჰემპტონი 3:2 კოლჩესტერი
ბოლტონი 3:4დ.დ.(2:2) ტოტენჰემი
ჩარლტონი 1:2 კრ. პალასი
ევერტონი 2:0 პრესტონი
მიდლსბრო 3:0 ძოვენთრი

## შოტლანდია

პრემიერლიგა. XI ტური

დანდი იუნ. 1:1 ჰართსი
სელტიკი 2:3 აბერდინი
დანფერმლაინი 1:2 რეინჯერსი
ჰიბერნიანი 2:1 ლივინგსტონი
ინვერნესი 2:1 დანდი
მოზერუელი 0:1 კილმარნოკი

## გერმანია

ბუნდესლიგა. X ტური

ჰამბურგი 4:0 ფრაიბურგი
ლევერკუზენი 3:2 არმინია
მაინცი 3:1 ჰანზა
ნიურნბერგი 0:2 შალკე
შტუტგარტი 1:2 ვერდერი

II ბუნდესლიგა. X ტური

ერფურტი 1:0 ალემანია
ზაარბრიუკენი 3:0 ობერჰაუზენი
დუისბურგი 4:3 ტრირი
დინამო 1:0 ესენი

## ავსტრია

მაქსბუნდესლიგა. XIV ტური

ზალცბურგი 0:1 რაპიდი
შტურმი 1:0 გრაცერი
აუსტრია 1:2 პაშინგი
ბრეგენცი 3:2 ტიროლი

## დანია

თასის 1/8 ფინალი

იოლსტიკე 3:1 სიონდერიისკე
ჰორსენსი 2:1 ოლბორგი
კიოგე 1:2 ორჰუსი
ფრემადი 3:2 ნორდსიელანდი
ფრემი 0:2 სკიოლდი
კოპენჰაგენი 2:1 ოდენსე
ჰერფიოლგე 1:4 მიდტიულანდი
ესბიერგი 0:1 ბრონდბიუ

## ჩეხეთი

თასის პირველი ეტაპი

ოლომოუცი 0:1 პლზენი
ჰლუჩინი 1:4პენ(1:1) სლოვაცკო
მოსტი 5:4პენ(1:1) სპარტა
სლავიჩინი 0:6 სლავია
ულიცოვი 0:1 ბანიკი
ზლინი 1:2 ტეპლიცე

## პოლონეთი

თასის I ეტაპი. I მატჩები

კორონა 2:2 ლეჩნა
მაზოვშე 3:1 სვიტი
გლივიცე 0:2 დიშკობოლია
ბელხატოვი 9:1 ოლიმპია
ლოძი 5:2 კუჟავიაკი
ოდრა 1:1 პლოცკი
ზაგლებიე 4:1 კოტვიცა
პოლკოვიცე 0:3 ამიკა

## ჰოლანდია

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩები

გრააფსხაპი 2:2 ტილბურგი
დენ ჰააგი 0:1 ტვენტე
ბრედა 4:0 როდა

## სლოვენია

თასის პირველი ეტაპი

ნაფტა 9:2 დრავოგრადი
დომზალე 2:4დ.დ.(2:2) ნოვა გორიცა
პუბლიკუმი 4:2პენ(1:1) ოლიმპია
მარიბორი 2:0 მურა

## ხორვატია

თასის I ეტაპი. I მატჩები

ნეჰაი 2:3 ჰაიდუკი
ოსიეკი 2:0 სლობოდა


REUTERS ჰამბურგიდან

ალექსანდრე იაშვილის გარეშე მოთამაშე „ფრაიბურგს“ ჰამბურგელმა სერგი ბარბარესმა ჰეთ თრიქი შეუსრულა


REUTERS ლონდონიდან

ჩელსელი მატეა კეჟმანის გოლმა „ვესტ ჰემის“ ფანობა გაახელა



REUTERS შტუტგარტიდან

ვერდერული მალაყები: მიროსლავ კლოზემ და ნელსონ ვალდესმა „შტუტგარტის“ კარში გატანილი გოლები ასე აღნიშნეს

## იტალია

სერია A. VIII ტური

ლაციო 2:0 მესინა
ლეჩე 2:2 ინტერი
მილანი 3:0 ატალანტა
1:0 ტომასონი (53), 2:0 კალაძე (71), 3:0 სერჟინიო (90)
პალერმო 1:2 ლივორნო
რეჯინა 1:2 ფიორენტინა
ბოლონია 0:1 უდინეზე
ბრეშა 0:1 სიენა
კალიარი 2:1 პარმა
კიევო 0:2 სამპდორია

## ესპანეთი

სამეფო თასის 1/32 ფინალი

ტერასა 4:2პენ(1:1) ესპანიოლი
ამურიო 2:3დ.დ.(2:2) რასინგი
ბადალონა 3:4პენ(0:0) ლევანტე
მირანდესი 3:2დ.დ.(2:2) სალამანკა
ლეონესა 4:3პენ(1:1) ალავესი
ეიბარი 2:4პენ(0:0) ვალიადოლიდი
სეგოვიანა 0:1 ბილბაო
ხიმნასტიკი 2:1 სარაგოსა
ოურენსე 0:3 ატლეტიკო
ბურგოსი 1:3 სოსიედადი
ლეიდა 1:0 ვალენსია
რეკრეასიონი 0:3 ნუმანსია
სპორტინგი 1:2 ელჩე
ალხესირასი 0:1 სევილია
კონკენსე : უელვა გადაიდო
კორდობა : ალმერია გადაიდო
დონ ბენიტო 0:2 მალაგა
ხერესი 0:1 სიუდად მურსია
ლორკა 4:1 მურსია
ალკალა 2:4პენ.(0:0) ბეტისი
კადისი 4:0 პოლი ეხიდო
სეუტა 0:1დ.დ.(0:0) ალბასეტე
რაიო ვალეკანო 0:1დ.დ.(0:0) მალიორკა
გრამანეტი 1:0დ.დ.(0:0) ბარსელონა
ტენერიფე 3:1დ.დ.(1:1) სელტა
ლანსაროტე 3:2 ფეროლი
ლას პალმასი 0:1 ხეტაფე
ვესინდარიო 1:3დ.დ.(1:1) პონტევედრა

## პორტუგალია

თასის 1/32 ფინალი

რეალი 0:5 მარიტიმუ
ოშპიტალი 5:4პენ(3:3) სანჟუანენსე
იმორტალი 1:2 პომბალი
ლეცა 5:3პენ(0:0) კანედუ
ფიაეში 3:1 სინტრენშე
ოლივეირენშე 1:0 ანადია
ლეიშოეში 2:3დ.დ.(1:1) ლულეტანუ
ესპინიუ 1:0 სანტა კლარა
ვიანენსე 4:2 ოლივეირენსე
პამპილოშა 3:1დ.დ.(1:1) ფატიმა
ოდიველასი 2:1 ჟილ ვისენტე
მადალენა 3:4 ლეირია
ალმანკილენსე 0:3 აკადემიკა
შავეში 0:2 რიუ ავე
ნასიონალი 4:1პენ(1:1) ავეში
ალვერკა 0:1 ბოავიშტა
ეშტორილი 0:1 ამადორა
აკადემიკო 4:0 მერელინენსე
ვალდევესი 0:1 ლურდელუ
პენაფიელი 9:0 ნაზარენოსი
ბრაგა 2:0 ლუზადა
მორეირენსე 4:1 მარკუ
ბენფიკა 3:1 ორიენტალი
ფერეირა 1:2დ.დ.(0:0) ბეირა მარი
გიმარაეში 2:1 პორტუ

## სლოვაკეთი

პირველი ლიგა
XIV ტური

სობოტა 0:0 ჟილინა
ბანსკა ბისტრიცა 0:0 პეტრჟალკა

# ჩვენი დინამო მოგვეც ჩვენ!



## ეროვნულის მიმხედავები მართლა ქალაქის თავები იქნებიან. აქამდე თბილისს ლაქლაქის თავები ჰყავდა

თურმე აისბერგიც დნება... ვინ წარმოიდგენდა, ეროვნულ ბაზრობა-სტადიონს რამე თუ ეშველებოდა, უფრო სწორად, რამეს თუ უშველიდნენ.

უსაშველო მტერს ჰქონდეს, მაგრამ აქამდე კაცი არ გამოჩენილა, ლაპარაკისთვის საქმეც მიეყოლებინა....

მოკლედ, თბილისის ამჟამინდელმა თავებმა სერიოზულად გადაწყვიტეს სტადიონი სტადიონს დაამსგავსონ და ღმერთმა ქნას, მალე საშველი დაგვადგეს.

თბილისის პრემიერმა ბიძინა ბრეგაძემ ორიოდ კვირის წინ საგანგებო თათბირი რომ ჩაატარა და დასაწყისისთვის 10 ათასი სკამის დასამონტაჟებლად შესაბამის სამსახურებს ერთთვიანი ვადა მისცა, ადრეც გაუწყეთ. გუშინ კი პრემიერი თავადვე ესტუმრა სტადიონს და ავეჯით მოვაჭრეებს შეხვდა. მიზეზი გასაგებია — ბრეგაძის მოთხოვნა სტადიონის ტერიტორიის დაცლაა.

მოვაჭრეებთან შეხვედრას უშედეგოდ არ ჩაუვლია. პრემიერი მათ ახალ ადგილებს სთავაზობს და, როგორც ითქვა, მოვაჭრეების უმეტესობაც თანახმაა, დიდუბიდან სხვა რაიონში გადაინაცვლოს. ამ ამბავს კი ორ კვირაში უნდა მოევლოს — ასეთია ბრეგაძის ულტიმატუმი.

ერთი სიტყვით, ყინული დაიძრა და რა როგორ იქნება, უახლოეს დღეებში გაცნობებთ.

ქვემოთ კი თბილისის მერიის ოფიციალურ განცხადებასაც გთავაზობთ, რომელიც გუშინ პრემიერის პრესსამსახურმა მოგვაწოდა.

**კახა შალამბერიძე**

# ძვირფასო მოქალაქენო!

ქალაქის მთავრობამ ა/წ 13 ოქტომბერს ჩატარებულ მთავრობის სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონისთვის იერსახის დაბრუნებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებების გატარების შესახებ, რათა შესაძლებელი გახდეს მისი სრულყოფილად დატვირთვა სპორტული თამაშებით.

ქალაქის მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ქაოტური გარე ვაჭრობა აკრძალოს მთელი ქალაქის მასშტაბით და მისცეს მას ორგანიზებული სახე.

მოგმართავთ თხოვნით, უმოკლეს ვადაში გაანთავისუფლოთ ეროვნულ სტადიონზე თქვენ მიერ დაკავებული ტერიტორია, რათა მის ხელმძღვანელობას საშუალება მიეცეს ჩაატაროს დაგეგმილი სარეკონსტრუქციო სამუშაოები და უახლოეს მომავალში სტადიონმა დაიწყოს სრული დატვირთვით ფუნქციონირება.

ჩვენ თქვენი კეთილგონიერებისა და მხარდაჭერის იმედი გვაქვს.

გთავაზობთ ალტერნატიულ სავაჭრო ადგილებს, რომელთა შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ სტადიონის ადმინისტრაციასთან.

**პატივისცემით,**
**ქალაქ თბილისის მთავრობა**

# კვირკველია ვარჯიშს იწყებს
## გრიგალაშვილიღა დარჩა



თბილისის „დინამოს" ნახევარმცველი დავით კვირკველია, რომელიც ფეხის დაჭიმულ კუნთს სამი კვირა მკურნალობდა, გუნდთან ერთად ვარჯიშს დღეიდან განაახლებს.

თუ გახსოვთ, კვირკველია საქართველოს ნაკრების უკრაინასთან მატჩისწინა მზადებისას დაშავდა და მას შემდეგ ბურთს არ გაკარებია. გუშინ კი მას განმეორებითი გამოკვლევა ჩაუტარდა, ექიმებმა საგულდაგულოდ ერთხელაც გასინჯეს და ვარჯიშის ნება დართეს. როგორც ვთქვით, ვარჯიშს კვირკველია დღეიდან შეუდგება, თუმც დატვირთვა, რა თქმა უნდა, სხვებზე ნაკლები ექნება.

„დინამოს" ახლა სამკურნალო ერთადერთი ფეხბურთელი შოთა გრიგალაშვილი დარჩა, რომელსაც ფეხი აქვს მოტეხილი, დანარჩენები კი ჯანზე არიან და ჯერ „ტორპედოსთან" ჩემპიონატის მატჩისთვის, მერე ნიუკასლში უეფას თასზე სათამაშოდ ემზადებიან.

**კობა ინასარიძე**

# ჟირესი ნიუკასლში, გურული თბილისში



**დანიასთან** 17 ნოემბრის შესარჩევი მატჩისთვის საქართველოს ნაკრების მოსამზადებლად ალენ ჟირესი თბილისში 8 ნოემბერს ჩამოვა და ათიდან საქმესაც შეუდგება.

იქამდე კი ეროვნული გუნდის მწვრთნელი თავის თანაშემწეს, გია გურულს გამოაგზავნის და დანიასთან სათამაშოდ გამოძახებულთა სიას გამოატანს. თავად ჟირესი კი 4 ნოემბერს „ნიუკასლ" — „დინამოს" უეფას თასის მატჩს დაესწრება.

**კობა ინასარიძე**

Coca-Cola FIFA WORLD RANKING

| I | II | III | IV | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1 | ბრაზილია | 845 | 15 | 15 | *დანია* | 704 |
| 2 | 2 | საფრანგეთი | 799 | 16 | 14 | *საბერძნეთი* | 703 |
| 3 | 4 | არგენტინა | 778 | 17 | 19 | ურუგვაი | 702 |
| 4 | 3 | ესპანეთი | 774 | 18 | 20 | ნიგერია | 701 |
| 5 | 6 | ჰოლანდია | 755 | 19 | 18 | იაპონია | 699 |
| 6 | 5 | ჩეხეთი | 751 | 20 | 21 | ირანი | 698 |
| 7 | 7 | ინგლისი | 739 | | | | |
| 8 | 11 | პორტუგალია | 735 | 80 | 87 | *უკრაინა* | 524 |
| 8 | 9 | იტალია | 735 | | | | |
| 10 | 8 | მექსიკა | 734 | 89 | 94 | *ალბანეთი* | 498 |
| 11 | 10 | აშშ | 717 | | | | |
| 12 | 13 | *თურქეთი* | 711 | 105 | 112 | საქართველო | 448 |
| 13 | 11 | გერმანია | 706 | | | | |
| 14 | 16 | ირლანდია | 705 | 145 | 145 | *ყაზახეთი* | 302 |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა

# არეკნი ფსკერიდან

იმაზე კამათს, რომ რეიტინგში 105-ე ადგილზე ყოფნა ჯობია 112-ე ადგილზე ყოფნას, იმედი გვაქვს, არავინ აპირებს. მაგრამ, მოდით, არც იმაზე ვიდავოთ, რომ 105-ეც და 112-ეც ერთნაირად ცუდი, სამარცხვინო თუ არაპრესტიჟული პოზიციებია ფიფა-კოკა-კოლას რეიტინგ-ლისტში.

მეორე მხრივ, ის 112-ე ადგილი, რომელიც საქართველოს აქამდე ეკავა, ჟირესამდელი მემკვიდრეობაა და იმედი გვაქვს, ბოლოდროინდელი უკეთესი თამაში რეიტინგში კიდევ უფრო აგვწევს.



საქართველომ და უკრაინამ შეიდ-შეიდი საფეხურით აინაცვლეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაივიწყეთ ლეგენდა!

## ზოიძემ დევაძეს აუღო ა-უ-ლო!

„თბილისი“ — „დინამო“ 5:0. ნამდვილად სენსაციური შედეგი. ასე მორჩა ჩემპიონატის წინ ტურის ცენტრალური მატჩი, დღემდეც რომ სალაპარაკოა

სალაპარაკო გახდა ერთი ასეთი ამბავიც. ბოლო წუთზე, როცა ანგარიში უკვე 5:0 იყო, „დინამოს“ კარში პენალტი დაინიშნა, რომლის დარტყმაც მეკარე აკაკი დევაძემ ითავა, დაარტყა და მისმა კოლეგა ირაკლი ზოიძემ მოიგერია. ჰოდა, ამის შემდეგ ითქვა, კაკომ „დინამო“ დაინდო, ზოიძეს ბურთის მიმართულება დარტყმამდე უთხრა და „დინამო“ თავისებურად შეიცოდა, მეექვსე გოლი აღარ გაუტანაო.

ამ ყოველივეს კი „დინამოს“ პრესსამსახურის უფროსი ლევან სალუქვაძე ასეთ კომენტარს უკეთებს:

— მატჩის ბოლო წუთი იყო, როცა „დინამოს“ კარში პენალტი დაინიშნა. მე კარის უკან ვიდექი და დარწმუნებული ვარ, დევაძესა და ზოიძეს შორის პენალტის დარტყმამდე არც არანაირი შეთანხმება, არც არანაირი ჟესტი ყოფილა. ანგარიში 5:0 იყო და „დინამო“ მეექვსე გოლს გაუშვებდა თუ „თბილისი“ მეექვსეს გაიტანდა, ამას დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა. არც მოგერიებული პენალტი მოჰგვრიდა რამენაირ შვებას ირაკლი ზოიძეს, რომელიც თავადაც ამბობს, რომ პენალტი ნაღდად დარტყმული და აღებული იყო.

ჩვენ კი დავამატებთ, რომ ირაკლი ზოიძეს „თბილისთან“ არც პირველი პენალტი მოუგერიებია და ვიმედოვნოთ, არც უკანასკნელი.

**ქობა ინასარიძე**



ყბადაღებული პენალტი: აკაკი დევაძე დარტყმამდე და ირაკლი ზოიძე მოგერიებამდე



# ალალი ზურა

## მენთეშაშვილს ყურები ჯერ ადგილზე აქვს

„სკონტომ“ თანაქალაქელ „რიგას“ 4:2 მოუგო და კვლავაც ინარჩუნებს საჩემპიონო შანსს. მართალია, ლიეპაიას „მეტალურგსი“ უფრო ახლოსაა ოქროსთან, მაგრამ ყველა კითხვას მომავალი ტური უპასუხებს, როცა „სკონტო“ მთავარ კონკურენტს ლიეპაიაში ესტუმრება.

„რიგასთან“ მატჩში კი სკონტოელებს ქართველი ნახევარმცველი ზურაბ მენთეშაშვილი გაუძღვეს. იმის საშიშროებაც იყო, ჩვენებურს სეზონის გადამწყვეტ მატჩში არ ეთამაშა, მაგრამ სადისციპლინო კომიტეტმა ზურას ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა, რასაც დღეს „დიტონთან“ მოიხდის...

— „მეტალურგსთან“ რომ არ მეთამაშა, ძალიან დამწყდებოდა გული, მაგრამ გადავრჩი. ახლა ყველანი ლიეპაიურ მატჩზე ვფიქრობთ. ამ თამაშს მთელი ლატვია ელის.

— რატომ გაგაძევეს „რიგასთან“?

— უხეში თამაშის გამო. გასაგდები ვიყავი და გამაგდეს.

— ჩემპიონობის დაკარგვის საშიშროებას თუ გრძნობ?

— არანაირად. „მეტალურგსთან“ თამაშის მერე გაირკვევა ყველაფერი. მანამდე ყურების ჩამოყრას არ ვაპირებ.

— ისე, „მეტალურგსთან“ თამაში ეგებ გადამწყვეტი არც იყოს, „სკონტოს“ ხომ 6 ქულის ჩამოკლებით ემუქრებიან...

— არა მგონია, ეს საკითხი ეგრე გადაწყდეს. კლუბმა ფიფაში გაასაჩივრა და, როგორც ამბობენ, საქმესაც მოვიგებთ.

— მაინც რა მოხდა?

— ჩვენთან პელცისი გადმოვიდა ამ სეზონის წინ. ჰოდა, მისმა ყოფილმა კლუბმა იჩივლა, „სკონტოს“ ტრანსფერის ფული არ გადაუხდიაო და სკანდალიც აგორდა.

— „სკონტოში“ დარჩენას კიდევ აპირებ?

— სურვილი ნაღდად არ მაქვს.

— ესე იგი...

— რა ვიცი, თუ რამე გამოჩნდა, აუცილებლად წავალ. ისე, ერთი წლით კიდევ „სკონტოს“ ვეკუთვნი, მაგრამ, როგორც გითხარი, სეზონის დასრულებისთანავე ახალ კლუბზე ვიფიქრებ. აქ დარჩენა უკვე არაფერს მომცემს.

**ქახა შალამბერიძე**

# მთა მთას არ შეხვდება...

## ხიზანეიშვილის დინამო რომანცევს ჩაბარეს

ოთარ ხიზანეიშვილს მწვრთნელად ძველი ნაცნობი დაუნიშნეს — ოლეგ რომანცევი. მოსკოვის „დინამოს“ ხელმძღვანელობამ ბევრი იფიქრა თუ ცოტა, გადაწყვიტა, გუნდი რუსეთის ყველაზე ტიტულიანი მწვრთნელისთვის ჩაებარებინა.

რომანცევი „დინამოში“ ორიოდ თვის წინ მივიდა და აქამდე კონსულტანტად მუშაობდა.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ხიზანეიშვილს და რომანცევს ერთად მოსკოვის „სპარტაკში“ უმუშავიათ. მაშინ ჩვენებურს „სახალხო გუნდში“ საქმეები არ აეწყო და ცოტა ხანში მოსკოვიდან აბარგებამ მოუწია. ოთარის თქმით, რომანცევს ძველ ამბებზე სიტყვაც არ დაუძრავს და საკმაოდ თბილადაც ექცევა, რაზეც პრემიერლიგის ბოლო ტურებიც მეტყველებს — რომანცევისეულ ძირითადში ხიზანეიშვილი სტაბილურად ხვდება და უკმაყოფილოც არავინ დაუტოვებია.



**ქახა შალამბერიძე**

# პროფლიგამ დინამო-ტორპედო დააღამა რვაზე, ეროვნულზე

შაბათს საქართველოს ჩემპიონატის მეცამეტე ტურია. ამ ტურში კი ცენტრალური, ეგებ ჩემპიონატის ცენტრალურ მატჩადაც რომ გამოდგეს, ისეთი თამაშია — ლიდერი თბილისის „დინამო“ კუდში მადევარ ქუთაისის „ტორპედოს“ მასპინძლობს.

აბა, ამ გუნდებს ერთმანეთში როდის უთამაშიათ უინტერესოდ და ახლაც ამის დიდი მოლოდინია.

ამიტომაც პროფლიგამ გადაწყვიტა: „დინამო“ — „ტორპედო“ ზეგ „ეროვნულზე“ რვა საათზე დაიწყება. დღით ადრე კი, პარასკევს გია გეგუჩაძე და ოთარ გაბელია მატჩისწინა პრესკონფერენციას გამართავენ.

თბილის-ქუთაისელების ამ დაპირისპირების ინტრიგას ისიც აძლიერებს, რომ „დინამო“ ორშაბათს ნიუკასლში, უეფას თასზე სათამაშოდ მიემგზავრება და „ტორპედოსთან“ მისი შეხლა ინგლისში მატჩისთვის ბოლო რეპეტიციად უნდა გამოდგეს.

გაიხსენეთ ისიც, რომ წინა ტურში „დინამო“ „თბილისისგან“ 0:5 განადგურდა, „ტორპედოს“ კი ბოლო ორი მატჩი ვერ მოუგია. გასულ უქმეებზე ქუთაისელები შინ „კოლხეთს“ დაუზავდნენ, იმის წინ კი ზესტაფონელებთან გაიყვეს ქულები.

ბოლოს იმასაც შეგახსენებთ, რომ პირველი წრის „ტორპედო“ — „დინამო“ 1:1 მორჩა.

მოკლედ, 30 ოქტომბერს, რვა საათზე „ეროვნულზე“. კარგი თამაში უნდა იყოს.

**ქობა ინასარიძე**

# რვა წლის მერე

## გოჩა ჩიქოვანი ფეხბურთს ამერში დაუბრუნდა



**თბილისის** „ამერის“ მთავარ მწვრთნელს გიორგი ჩიხრაძეს დღეიდან ახალი თანაშემწე ჰყავს, ძველი დინამოელი, პირველი ეროვნული ჩემპიონატის პირველი ისტორიული მატჩის მონაწილე გოჩა ჩიქოვანი.

ეროვნული ჩემპიონატის გარიჟრაჟზე გოჩა ჩიქოვანი უკვე გამოცდილ ვეტერანად ითვლებოდა, ფეხბურთელის კარიერა კი რვა წლის წინ ბათუმის „დინამოში“ დაასრულა.

მას მერე მისი სახელი ფაქტობრივად აღარც მოხვედრილა სპორტულ გაზეთებში, რაკი ფეხბურთში აღარ დარჩენილა. ახლა კი მწვრთნელად დაბრუნდა.

გიორგი ჩიხრაძე: „თავის დროზე მე და გოჩა „დინამოში“ თანაგუნდელები ვიყავით. მე მაშინ ახალგაზრდა ფეხბურთელი ვიყავი, გოჩას ჩემზე მეტი გამოცდილება ჰქონდა. ერთად დიდხანს არ გვითამაშია, თუმც ამ წლების მანძილზე ერთმანეთთან ურთიერთობა არ გაგვიწყვეტია. ძალიან მიხარია და კმაყოფილი ვარ, გოჩა ჩვენთან „ამერში“ რომ იმუშავებს. მის ორ თვისებას გამოვარჩევ — ფეხბურთის ცოდნას და სიყვარულს.“

თავად გოჩა ჩიქოვანმა კი გვითხრა: „როცა „ამერში“ მუშაობა შემომთავაზეს, არ მიყოყმანია, მაშინვე დავთანხმდი. ერთი რომ, ფეხბურთში დაბრუნება მინდოდა და, ამასთანავე, გიორგი ჩიხრაძისგან ვიცოდი, როგორი საუკეთესო პირობები იყო შექმნილი სამუშაოდ. ახლა უკვე „ამერის“ წევრი ვარ და კლუბის მიზნები ჩემი მიზნებიცაა, ჯერ უმაღლეს ლიგაში უნდა გადავიდეთ, მერე კი უფრო დიდ წარმატებებს მივაღწიოთ.“

**ლუკა თალაკვაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

*იკადრა: რუუდ ვან ნისტელროიმ ბოდიში მოუხადა ეშლი კოულს იმ ვერაგი ჩანიხლვისთვის, მთელი ინგლისი რომ აალაპარაკა „მანჩესტერ“ — „არსენალის“ საკვირაო მატჩის მერე*

# SORRY დასჯილმა ვან ნისტელროიმ კოულს მოუბოდიშა

**ასოციაციამ** უკვე გამოუტანა ჰოლანდიელს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია. „მეთოფეთა“ ბოსი არსენ ვენგერი კი მაინც ვერ წყნარდება და კვლავ ვან ნისტელროის აკრიტიკებს: „ფეხბურთი ითამაშე, მეგობარო და შეირგე. სხვა რით უნდა გაგვაკვირვო? რუუდმა სისულელე თქვა, ბურთისთვის ვიბრძოდიო. კოულამდე იენს ლემანსაც ასევე ჩაარტყა. ის კარგი ფეხბურთელია, მაგრამ მხოლოდ თამაშში ვერ ეტევა“.



უკვე დასჯილმა ჰოლანდიელმა კი თქვა: „ძალიან ნორმალური სადისციპლინო შედეგი მაქვს იმ 10 წელიწადში, რაც ფეხბურთს ვთამაშობ. ამ ბოლო სასჯელზე პასუხისმგებელი ვარ. ეშლის კი მართლა ვუხდი ბოდიშს“.

სერ ალექს ფერგიუსონმა კი დაურთო: „სხვას არც ველოდი. თუმცა რუუდს მიაჩნია, რომ სამი მატჩი ნამეტანია“.

**ირაკლი გამყრელიძე**

# არსენიადა გრძელდება



არსენ ვენგერი „არსენალში“ კიდევ ოთხი წელი დარჩება

**„არსენალის“** მწვრთნელმა, ფრანგმა არსენ ვენგერმა ინგლისის ჩემპიონთან კონტრაქტი 2008 წლამდე გააგრძელა.

55 წლის ვენგერი „ჰაიბერიზე“ 1996 წელს მივიდა და ლონდონის ერთ-ერთი უძველესი კლუბი სამჯერ, 1998, 2002 და 2004 წლებში მიიყვანა ინგლისის ჩემპიონის ტიტულამდე. ვენგერის ძველ კონტრაქტს ვადა მიმდინარე სეზონის ბოლოს გასდიოდა.

„ჩვენი მიზანი ყოველთვის ნათელი იყო. მე მიყვარს „არსენალი“ და აქ თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობ“ — დაწერა ვენგერმა კლუბის საინტერნეტო გვერდზე.

ვენგერის განახლებული კონტრაქტი ნიშნავს იმას, რომ ფრანგი „არსენალს“ 2006 წელს განახლებულ, 60-ათასიან სტადიონზე გაუძღვება, ხოლო ჭორები მისი მადრიდის „რეალში“ შესაძლო გადასვლის შესახებ საბოლოოდ დასამარდება.

„ახალი ხელშეკრულება კიდევ უფრო მიძლიერებს ამ კლუბთან ერთად წინსვლის სურვილს და ჩემს ამბიციებს სრულად ეხმაურება. მე ჯერ ძალიან ბევრი წარმატების მიღწევა მსურს“ — განაცხადა მწვრთნელმა, რომლის ხელმძღვანელობით „არსენალმა“ პრემიერლიგაში წაუგებელი მატჩების ახალი რეკორდი დაამყარა — 49. გასულ კვირას, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ რომ არ წაეგო, რეკორდი „მრგვალ რიცხვს“ გაუტოლდებოდა

**პაპუნა ძიდია**

# მეგსონის შემცვლელი საპოვნელია



„ვესტ ბრომვიჩ ალბიონმა“ მენეჯერი გარი მეგსონი გადააყენა და ძალიან სწრაფად სჭირდება შემცვლელი. პირველ კანდიდატად, ცხადია, სერ ბობი რობსონს ასახელებენ, რომელსაც თანაშემწედ ბრაიან რობსონს უზომებენ. სიაში არიან ჟერარ ულიე და გლენ ჰოდლი.

მეგსონის გადაყენება მისგან კლუბის თავმჯდომარის, ჯერემი ფისის სახალხო კრიტიკას მოჰყვა: პრემიერლიგაში დასარჩენად, სხვაგვარი საზაფხულო ვაჭრობა გვმართებდაო.

კლუბმა მეგსონი ოფიციალურად კი გადააყენა, მაგრამ სინამდვილეში თავად მენეჯერი ამბობდა, ასე მუშაობას აზრი არა აქვსო.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ომი სკამებით

**ინგლისი**

**ლიგის თასი**

**მეთექვსმეტედფინალი**

**პორტსმუთი 3:3დდ(პენ4:5, 2:2) კარდიფი**

1:0 პეიტერი (8), 1:1 ა. ლი (24), 1:2 ბალოკი (49), 2:2 პეიტერი (90), 2:3 ჯერომი (108), 3:3 სტოკი (118)

**ბარნლი 3:1 ასტონ ვილა**

1:0 ბრენჩი (9), 2:0 მ. კამარა (65), 2:1 პ. ანხელი (81), 3:1 ვალუა (86)

**კრიუ 0:3 მანჩესტერ იუნ.**

0:1 ა. სმიტი (10), 0:2 ლ. მილერი (57), 0:3 ფოსტერი (59ს.კ.)

**დონკასტერი 0:2 ნოტინგემი**

0:1 მ. კინგი (33), 0:2 პერჩი (63)

**მილუოლი 0:3 ლივერპული**

0:1 ს. დიაო (18), 0:2, 0:3 ბაროში (70, 90)

**პორტსმუთი 2:1 ლიდსი**

1:0 დ. კამარა (14), 2:0 ბერკოვიჩი (323), 2:1 დინი (40)

**შეფილდ იუნ. 0:0(პენ2:4) უოტფორდი**

„მილუოლისა“ და „ლივერპულის“ ქომაგებმა ლიგის თასის მატჩის დროს ერთმანეთი გვარიანად დაალილავეს. მეორე ტაიმში დაწყებული ლანძღვა-გინება ბოლოს ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა. ეს ამბავი ზედა იარუსზე, იმ სექტორის გვერდით მოხდა, სადაც ინვალიდები სხედან. ჩხუბის შედეგად ერთ-ერთი ინვალიდი დაშავდა. ლივერპულელებმა ტრიბუნას სკამები დაამტვრეს და ქვედა იარუსზე მოლრიალე მილუოლელებს დაუშინეს. დაკა-დაკაში პოლიცია ჩაერია. მათ სამი ლივერპულელი და ერთი ადგილობრივი გუნდის ფანი გაბაწრეს. აქვე გავიხსენოთ, რომ „მილუოლის“ გიჟმაჟმა ფანებმა 30 სექტემბერს ბუდაპეშტში „ფერენცვაროშთან“ უეფას თასის მატჩის დროსაც იჩხუბეს.

**ვაჟა ხუციშვილი**



# სოკრატესი გამოჩნდა

## ბებერი ბრაზილიელი სოფლის გუნდში ნავიდა

**ინგლისის** სამოყვარულო გუნდ „გარფორთს“ მსოფლიო ვარსკვლავი ჰყავს გუნდში.

ხომ გახსოვთ სოკრატეს სამპაიო დე სოუზა დე ოლივეირა? ბრაზილიის ნაკრების კაპიტანი სოკრატესი?

ის ახლა 50 წლისაა და ასე გაერთო: ინგლისის ჩრდილო საგრაფოების აღმოსავლეთის ლიგის პატარა გუნდის მოთამაშე-მწვრთნელად გაფორმდა.

„გარფორთი“ იმ თვეში მარად მეტოქეს „ტადკასტერ ალბიონს“ ხვდება და სოკრატესის დებიუტიც მაშინ შედგება. ის მებაღის, მასწავლებლის და ელექტრიკოსის მხარდამხარ ითამაშებს. გარფორთის 3-ათასიანი სტადიონი კი სავსე იქნება.

აქვე ვთქვათ, რომ „გარფორდში“ „მანჩესტერის“ ძველი ვარსკვლავი, ლი შარპიც ერთობა ბურთის გორებით.

სოკრატესი ერთ თვეს დარჩება ლიდსის ახლო მდებარე სოფელში.





ამ ტრიბუნას სოკრატესი შეავსებს




ბაიერნი — ვოლფსბურგი. „მგლებზე“ მონადირე კლაუდიო პიზარომ ამჯერად ორჯერ გაისროლა

# პიზარომ მგლის ტყავი დახია

## გერმანია

### ბუნდესლიგა. X ტური

**ჰანოვერი 3:1 კაიზერსლაუტერნი**

0:1 ამანატიდისი (26), 1:1 ტარნატი (33), 2:1, 3:1 სტაინერი (65, 86)

ჰანოვერი: ენკე, შრიოტერი, მერტესაკერი, ზურავი, ტარნატი, ლალა, დე გუცმანი (ვინისიუსი 90), კრუპნიკოვიჩი, შტენდელი, თ. კრისტიანსენი (ვალნერი 88), სტაინერი

მწვრთნელი: ევალდ ლინენი

კაიზერსლაუტერნი: ვიზე, ლემბი, ჰერჩი, ვენცელი, დრეშერი (ჩატო 46), ნურმელა (ჰალილ ალტინტოპი 69), რიდლი, ენგელარდტი (ტებერი 81), ზანდი, იანკერი, ამანატიდისი

მწვრთნელი: კურტ იარა

გაფრთხილება: ზანდი, რიდლი, ჩატო, ლემბი

მსაჯი: ალბრეხტი

24 536 მაყურებელი

**ჰერტა 0:1 დორტმუნდი**

0:1 კოლერი (44)

ჰერტა: ფიდლერი, ა. ფრიდრიხი, მადლუნგი, ვან ბურიკი, ფატი (ვიშნიარეკი 46), დარდაი (კ. მიულერი 76), ტ. მარქსი, ბაშთურქი, მარსელინიო, ჟილბერტო, ბობიჩი (რაფაელი 61)

მწვრთნელი: ფალკო გიოტცი

დორტმუნდი: ვაიდენფელერი, ბერგდოლმო, მადუნი, ვიორნსი, ნ. იენსენი, კრინგე (ბრჟენსკა 83), კელი, დედე, როსიცკი, ევერტონი (სენესიე 90), კოლერი

მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი

გაფრთხილება: მარქსი, მარსელინიო, კელი

მსაჯი: შიპელი

48 428 მაყურებელი

**ბაიერნი 2:0 ვოლფსბურგი**

1:0, 2:0 პიზარო (24, 45)

ბაიერნი: კანი, გიორლიცი, ლუსიო, რ. კოვაჩი, სალიჰამიჯიჩი, სანიოლი, ჰარგრივსი, ფრინგსი (დემიკელისი 84), შვაინსტაიგერი (შოლი 72), მაკაი, კ. პიზარო

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

ვოლფსბურგი: იენჩი, კ. რიტერი, კიროგა, ჰოფლანდი, ვაიზერი, კარჰანი, ტიამი, დალესანდრო (შნოორი 63), ბრდარიჩი (ტოპიჩი 75), კლიმოვიჩი (ჰრგოვიჩი 84), მ. პეტროვი

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

გაფრთხილება: გიორლიცი, შნოორი

მსაჯი: ტრაუტმანი

37 000 მაყურებელი

**ბოხუმი 3:0 მიონხენგლადბახი**

1:0 პროისი (54), 2:0 ვოში (85), 3:0 მადსენი (90)

ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კოლდინგი, კალა (პროისი 29), მაიხელბეკი, პ. ბიონიგი, ცდებელი, მალტრიცი, მისიმოვიჩი, ვოში (ტ. გუდიონსონი 88), პ. მადსენი, ლოკვენცი (ბეკმანი 90)

მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი

მიონხენგლადბახი: კამპა, კორჟინეცი, პლეტჩი, შტრასერი, კარნელი (ბროიხი 76), გაედე, ულიხი (შლაუდრაფი 76), კლუგე, ჰაინცი (კორელი 63), სვერკოში, ვან ჰუტი

მწვრთნელი: ჰოლგერ ფახი

გაფრთხილება: ლოკვენცი, შტრასერი, მისიმოვიჩი, ვან ჰუტი, შტრასერი, კლუგე, გაედე, ბროიხი

გაძევება: შტრასერი (59)

მსაჯი: ვაინერი

30 975 მაყურებელი

„ბაიერნისა“ და „ვოლფსბურგის“ მატჩი ცალკარა გამოვიდა და მიუნხენელებს სამჯერ მეტის გატანაც შეეძლოთ. მასპინძელთა პერუელმა ფორვარდმა კლაუდიო პიზარომ დუბლი შეასრულა. აღსანიშნავია, რომ პიზაროს „ვოლფსბურგის“ წინააღმდეგ გამართულ ცხრა შეხვედრაში უკვე რვა გოლი დაუგროვდა.

პირველი ტაიმის შუაში ბასტიან შვაინსტაიგერმა გაილაღა. ოთხი მეტოქე ჩამოიცილა და ბურთი საპენალტესთან პერუელს მიართვა, რომელმაც ანგარიში გახსნა. შესვენებამდე წუთით ადრე ჰასან სალიჰამიჯიჩის წაქცევისთვის საჯარიმო დაინიშნა. ჰარგრივსის პასით პიზარომ სიმონ იენჩი მეორედ დაამწუხრა.

პერუელმა მეორე ტაიმის დასაწყისში ერთხელ ძელი შეატოკა, სხვა ეპიზოდებში კი იენჩი ყოჩაღობდა. მან რამდენჯერმე გამოაძრო ბურთი კარიდან. მთლად უმომენტოდ არც „მგლები“ ყოფილან. ერთადერთი ხელსაყრელი ეპიზოდი დიეგო კლიმოვიჩს ჰქონდა, მაგრამ ოლივერ კანმა აჯობა.

„ბაიერნმა“ ამ მოგებით ლიდერთან სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირა, ფელიქს მაგათმა კი კლაუდიო პიზარო შეაქო: „კარის წინ ის შეუდარებელია. მასთან ერთად გუნდი გაცილებით უკეთ გამოიყურება“.

დორტმუნდის „ბორუსიამ“ სეზონში მეორე მატჩის მოგება სტუმრად, ბერლინში მოახერხა. „შავყვითლებს“ მიჯრით შვიდი თამაში არ მოეგოთ და ნავსი დედაქალაქში გატეხეს. დორტმუნდელთა მწვრთნელ ბერტ ვან მარვიიკს სკამი შერყეული ჰქონდა, მაგრამ ამ გამარჯვების შემდეგ ვითარება მის სასარგებლოდ შეიცვალა.

„ბორუსიამ“ „ჰერტაზე“ უკეთ ითამაშა და სამი ქულა წააცუნცულა, თუმც აქვე უნდა ვთქვათ, რომ მასპინძლებმა პირველ ტაიმში ბურთი კარის ჩარჩოს სამჯერ მოარტყეს. ანგარიში ტაიმის დასრულებამდე წუთით ადრე გაიხსნა. ევერტონის დაწყებული კომბინაცია ფლორიან კრინგემ გააგრძელა, იან კოლერმა კი ახლოდან გატანილი გოლით დაასრულა. შესვენების შემდეგ ერთი საგოლე მომენტი კოლერმა გააცუდა, მეკარესთან პირისპირ გასულმა ტომაშ როსიცკიმ კი კრისტიან ფიდლერს ვერ აჯობა. დედეს დარტყმული და მცველისგან ასხლეტილი ბურთი კი ძელმა უკუაგდო. შეხვედრის დასრულებამდე თხუთმეტი წუთით ადრე მადლუნგის ნათავურალი ბურთი დორტმუნდელმა მცველმა ხაზიდან ხელით მოიგერია, რის გამოც მასპინძლები პენალტს ითხოვდნენ, მაგრამ მსაჯმა ვერ შეამჩნია და „ჰერტას“ გათანაბრების შანსი არ მისცა. „ეს ნანატრი და დროული გამარჯვება იყო. გუნდმა ხასიათი გამოავლინა“ — თქვა ნამატჩევს „ბორუსიას“ ჰოლანდიელმა თავკაცმა.

„ბოხუმმა“ ბუნდესლიგაში საიუბილეო, მეათასე მატჩი ითამაშა და მიონხენგლადბახელებთან ზეიმი მოიწყო. მასპინძლები კრისტოფ პროისმა დააწინაურა. სორენ კოლდინგის ჩაწოდებული ბურთი ლოკვენცმა პროისს თავით დაუგდო და ფორვარდმაც ათიოდ მეტრიდან გაიტანა. ამის შემდეგ ლოკვენცთან უხეშობისთვის სტუმარი ჯეფ შტრასერი გააძევეს. კაცნაკლულობის მიუხედავად, „ბორუსია“ დამხვდურთა შეტევებს იგერიებდა, მაგრამ მაინც გატყდა. ბერნდ კორჟინეცმა მეკარეს ბურთი თავით უხეიროდ დაუბრუნა, დარიუშ ვოშმა კი პასი ჩაჭრა და გოლად აქცია. შეხვედრის დასასრულს შეცვლაზე შესულმა ტორდურ გუდიონსონმაც გაიხარა და ანგარიშში სხვაობა სამამდე გაზარდა.

„ჰანოვერმა“ მიჯრით მეოთხე შეხვედრაში იმარჯვა. მასპინძლებს მაჩანჩალა „კაიზერსლაუტერნის“ დამარცხება არ გასჭირვებიათ, მიუხედავად იმისა, რომ სტუმრები ამანატიდისის გოლით დაწინაურდნენ. მიხაელ ტარნატმა ნაკუთხურალ ბურთს თავი საგოლედ შეაგება და ანგარიში შესვენებამდე გაათანაბრა. მეორე ტაიმში ირჟი სტაინერმა გაილაღა და დუბლი შეასრულა. ჩეხმა ფორვარდმა ორჯერვე ახლოდან გაიტანა. სტაინერს ჰეთ თრიქის გახერხებაც შეეძლო, მაგრამ მეკარესთან პირისპირ გასულმა ბურთი ხარიხას გადააცილა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვოლფსბურგი | 10 | 7 | 0 | 3 | 16:11 | 21 |
| შტუტგარტი | 9 | 6 | 2 | 1 | 17:7 | 20 |
| ბაიერნი | 10 | 6 | 2 | 2 | 16:10 | 20 |
| ჰანოვერი | 10 | 5 | 2 | 3 | 16:11 | 17 |
| ვერდერი | 9 | 5 | 0 | 4 | 20:11 | 15 |
| მაინცი | 9 | 4 | 3 | 2 | 14:12 | 15 |
| შალკე | 9 | 5 | 0 | 4 | 11:13 | 15 |
| არმინია | 9 | 4 | 2 | 3 | 8:7 | 14 |
| ლევერკუზენი | 9 | 3 | 3 | 3 | 14:14 | 12 |
| ჰერტა | 10 | 2 | 5 | 3 | 10:9 | 11 |
| დორტმუნდი | 10 | 2 | 5 | 3 | 13:16 | 11 |
| ნიურნბერგი | 9 | 2 | 4 | 3 | 16:16 | 10 |
| ფრაიბურგი | 9 | 2 | 4 | 3 | 9:12 | 10 |
| ბოხუმი | 10 | 2 | 4 | 4 | 15:19 | 10 |
| გლადბახი | 10 | 2 | 3 | 5 | 13:17 | 9 |
| ჰამბურგი | 9 | 3 | 0 | 6 | 10:17 | 9 |
| ჰანზა | 9 | 2 | 2 | 5 | 9:16 | 8 |
| ლაუტერნი | 10 | 2 | 1 | 7 | 11:20 | 7 |

### მეორე ბუნდესლიგა X ტური

**აინტრახტი 2:3 ალენი**

0:1 ბ. ნდიაიე (1), 1:1 ჩა (2), 1:2 ბ. ნდიაიე (11), 2:2 ვან ლენტი (39), 2:3 სვიტლიცა (82)

**კარლსრუე 2:2 ფიურტი**

0:1 ფაინბერი (30), 1:1 დანდი (68), 1:2 ს. როსლერი (74), 2:2 დანდი (88)

**კიოლნი 2:0 მიუნხენი**

1:0 პოდოლსკი (4), 2:0 ვოიგტი (39)

**ბურგჰაუზენი 2:0 უნტერჰახინგი**

1:0 იუნგა (4), 2:0 ჰერციგი (56)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფიურტი | 10 | 7 | 2 | 1 | 13:5 | 23 |
| კიოლნი | 10 | 6 | 2 | 2 | 18:14 | 20 |
| ალემანია | 9 | 5 | 3 | 1 | 23:8 | 18 |
| დუისბურგი | 9 | 6 | 0 | 3 | 13:9 | 18 |
| ბურგჰაუზენი | 10 | 5 | 2 | 3 | 18:13 | 17 |
| ალენი | 10 | 3 | 5 | 2 | 11:9 | 14 |
| უნტერჰახინგი | 10 | 4 | 1 | 5 | 16:16 | 13 |
| ტრიერი | 9 | 3 | 4 | 2 | 10:11 | 13 |
| მიუნხენი | 10 | 3 | 4 | 3 | 12:14 | 13 |
| აუე | 9 | 3 | 2 | 4 | 15:13 | 11 |
| ზაარბრიუკენი | 9 | 3 | 2 | 4 | 11:11 | 11 |
| აინტრახტი | 10 | 3 | 2 | 5 | 19:21 | 11 |
| კარლსრუე | 10 | 2 | 4 | 4 | 12:15 | 10 |
| კოტბუსი | 9 | 2 | 4 | 3 | 7:10 | 10 |
| ობერჰაუზენი | 9 | 2 | 2 | 5 | 10:16 | 8 |
| ესენი | 9 | 1 | 4 | 4 | 15:22 | 7 |
| დინამო | 9 | 2 | 1 | 6 | 12:19 | 7 |
| ერფურტი | 9 | 1 | 4 | 4 | 4:13 | 7 |



გამოჯანმრთელებული სებასტიან დაისლერი „ბაიერნის“ გამარჯვებამ კარგ ხასიათზე დააყენა

## პორტუგალია

### თასის 1/32 ფინალი

**ნაციონალი 1:3 სპორტინგი**

0:1 როჩემბაკი (43), 1:1 ედერი (60), 1:2 როჩემბაკი (70), 1:3 მარტინში (90)

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა XIII ტური

**მატერსბურგი 3:0 ადმირა**

1:0, 2:0 რ. ვაგნერი (8, 44), 3:0 ტ. ვაგნერი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 13 | 8 | 4 | 1 | 31:7 | 28 |
| რაპიდი | 13 | 8 | 4 | 1 | 26:11 | 28 |
| პაშინგი | 13 | 8 | 1 | 4 | 25:17 | 25 |
| გრაცერი | 13 | 8 | 1 | 4 | 17:11 | 25 |
| ტიროლი | 13 | 5 | 3 | 5 | 16:18 | 18 |
| ადმირა | 14 | 5 | 2 | 7 | 18:21 | 17 |
| ზალცბურგი | 13 | 4 | 3 | 6 | 17:19 | 15 |
| მატერსბურგი | 14 | 4 | 2 | 8 | 17:25 | 14 |
| შტურმი | 13 | 2 | 3 | 8 | 7:17 | 9 |
| ბრეგენცი | 13 | 1 | 3 | 9 | 11:39 | 6 |

## ესპანეთი

### სამეფო თასის 1/32 ფინალი

**ლეგანესი 1:2 *რეალი***

0:1 მორიენტესი (18), 0:2 ოუენი (48), 1:2 დ. რუისი (55)

რეალი: სესარი, მეხია, ვ. სამუელი (პარედესი 46), პავონი, რაულ ბრავო, ხავი გარსია, ბორხა, სელადესი, ალექს პერესი (ხუანფრანი 53), ოუენი, მორიენტესი

მწვრთნელი: მარიანო გარსია რემონი

გაფრთხილება: ბორხა, ხავი გარსია, პავონი, პარედესი

მსაჯი: გონსალეს ვასკესი

4 000 მაყურებელი

**კერკედა 0:2 *დეპორტივო***

0:1, 0:2 ტრისტანი (23, 81)

**კასტელიონი 0:0(პენ.2:4) *ოსასუნა***

## იტალია

### სერია B. X ტური

**ბარი 1:2 ტერნანა**

1:0 გორეტი (6), 1:1 მ. ვიერი (28), 1:2 ლ. ხიმენესი (77)

**ჩეზენა 2:1 კატანძარო**

0:1 კორონა (17), 1:1 პესტრინი (22), 2:1 ბერნაჩი (57)

**კროტონე 1:1 კატანია**

0:1 ფ. როსი (20ს.კ.), 1:1 ტ. გუცმანი (56)

**მოდენა 1:1 არეცო**

0:1 აბრუსკატო (20), 1:1 განცი (51)

**პერუჯა 0:2 ემპოლი**

0:1 ტავანო (19პ), 0:2 დ. მორო (28)

**პესკარა 0:2 ტორინო**

0:1 მარაცინა (47), 0:2 კალიარელა (90)

**პიაჩენცა 3:1 ასკოლი**

1:0 იაკინი (14), 1:1 მონტიჩოლო (54), 2:1 ტარანა (86), 3:1 ლუჩენტი (90)

**ვენეცია 2:0 სალერნიტანა**

1:0 ლანდაიდა (20), 2:0 ბიანკოლინო (37)

**ვიჩენცა 0:1 ტრევიზო**

0:1 რეგინალდო (14)

**ჯენოა 1:1 ვერონა**

1:0 დ. მილიტო (5), 1:1 ადაილტონი (51)

**ალბინოლეფე — ტრიესტინა**

*0:0-ზე ჩაიშალა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ემპოლი | 10 | 7 | 2 | 1 | 17:7 | 23 |
| ტორინო | 10 | 6 | 2 | 2 | 14:6 | 20 |
| ჯენოა | 10 | 5 | 4 | 1 | 22:11 | 19 |
| პიაჩენცა | 10 | 6 | 0 | 4 | 17:16 | 18 |
| ალბინოლეფე | 9 | 5 | 2 | 2 | 14:7 | 17 |
| ასკოლი | 10 | 5 | 2 | 3 | 14:14 | 17 |
| პერუჯა | 10 | 4 | 4 | 2 | 15:10 | 16 |
| ვიჩენცა | 10 | 5 | 1 | 4 | 16:15 | 16 |
| ჩეზენა | 10 | 4 | 3 | 3 | 10:9 | 15 |
| კატანია | 10 | 4 | 3 | 3 | 13:15 | 15 |
| არეცო | 10 | 3 | 5 | 2 | 20:15 | 14 |
| ვერონა | 10 | 4 | 2 | 4 | 17:14 | 14 |
| ტერნანა | 10 | 3 | 3 | 4 | 11:14 | 12 |
| კატანძარო | 10 | 3 | 2 | 5 | 14:14 | 11 |
| მოდენა | 10 | 4 | 2 | 4 | 11:10 | 10 |
| ტრიესტინა | 9 | 3 | 1 | 5 | 12:16 | 10 |
| ვენეცია | 10 | 3 | 1 | 6 | 9:14 | 10 |
| კროტონე | 10 | 2 | 3 | 5 | 9:15 | 9 |
| ტრევიზო | 10 | 2 | 2 | 6 | 8:15 | 8 |
| პესკარა | 10 | 1 | 4 | 5 | 9:17 | 7 |
| სალერნიტანა | 10 | 1 | 4 | 5 | 7:21 | 7 |
| ბარი | 10 | 1 | 4 | 5 | 8:12 | 6 |

*„მოდენას“ დაკლებული აქვს 4, ხოლო „ბარის“ 1 ქულა*

*ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი... გოლები, გოლები, გოლები... ოთხ თვეში გამართული 21 ოფიციალური მატჩი და 21 გოლი. მილანის „ინტერის“ ფორვარდი ადრიანო დღეს მსოფლიო დონის ვარსკვლავია.*

*ბრაზილიელი „ინტერში“ მაშინ გამოჩნდა, როცა იქ ჯერ კიდევ რონალდო თამაშობდა. ადრიანო მას მეგობრად მიიჩნევს და სანამ „ინტერში“ ერთად იყვნენ, რონალდო მას არასაფეხბურთო საქმეებზე დაასეირნებდა. ახლა ყველაფერი შეიცვალა. „კიჟა“ მადრიდშია და გართობას ამჟამადაც არ იკლებს, ადრიანომ კი სხვა იტალიურ გუნდებში გამოცდილება შეიძინა და „ინტერში“ დაბრუნდა.*

# შავ-ლურჯი გული ბრაზილიურ მკერდში

*თავად ფეხბურთელი ამბობს, რომ ათი წლისა ზრდასრულ კაცად გრძნობდა თავს, რადგან სიღარიბეში გაზრდილს ტანჯვა-წვალება და შრომა არ დაჰკლებია. ერთ კვირა დღეს, 9 წლის ყმაწვილი ადრიანო მამამ, ალმარმა ზეიმზე წაიყვანა, მაგრამ იქამდე ვერ მიაღწიეს, გზაში შეიარაღებული ბანდისა და პოლიციის შეტაკებაში მოხვდნენ. მამას ბრმა ტყვია თავში მოხვდა, თუმც სასწაულებრივ გადარჩა, ტყვია კი თავშივე დარჩა.*

*ალმარი გასულ ზაფხულს, სამ აგვისტოს გარდაიცვალა, ხოლო მანამდე, ივლისში, ადრიანოს ბრწყინვალე თამაშის წყალობით ბრაზილიამ სამხრეთ ამერიკის თასი მოიგო. მამის გარდაცვალებიდან მეცხრე დღეს „ბაზელთან“ შეხვედრაში გოლი გაიტანა. ალმარმა მხოლოდ რამდენიმე დღე გაატარა შვილისგან ნაჩუქარ ახალ სახლში. „გამარჯვება, გოლები, ფული, წარმატება მხოლოდ მედლის ერთი მხარეა, რომელიც ბედნიერებას ვერ მოგიტანს“ — ამბობს ადრიანო.*



— თქვენ „ოქროს ბურთის“ ერთ-ერთ კანდიდატად გთვლიან, მთავარ კონკურენტად კი შევჩენკოს ასახელებენ. რას ფიქრობთ ამის თაობაზე?

— ვიცრუებ, თუ ვიტყვი, რომ „ოქროს ბურთზე“ არ ვოცნებობ. კანდიდატთა სიაში მოხვედრა უკვე სასიხარულოა. როგორც ჩანს, ჩემს საქმეს ურიგოდ არ ვასრულებ, მაგრამ აქვე უნდა ვთქვა, რომ ინდივიდუალური ჯილდო გუნდურ გამარჯვებას ვერ შეედრება. მთავარია, „ინტერმა“ ამ სეზონში რამე მოიგოს. რაც შეეხება შევჩენკოსთან ჩემს დაპირისპირებას, უკრაინელი უკვე რამდენიმე წელია, მწვერვალზეა, მე კი ახლახან გამოვჩნდი. სხვა მხრივ, მე ამ ზაფხულს „კოპა ამერიკა“ მოვიგე, შევჩენკომ კი იტალიის გარეთ — ვერაფერი.

— მართალია, რომ შეიძლებოდა, „ინტერის“ ნაცვლად „მილანში“ გადასულიყავით?

— ზუსტად ვერ გეტყვით. მახსოვს, თითქოს „მილანზეც“ იყო საუბარი, მაგრამ ეს ამბავი მალე „მოკვდა“. ამჟამად მხოლოდ „ინტერზე“ ვფიქრობ. მსურს, რომ რაც შეიძლება მეტი ჯილდო მოვიგო და ეგებ კარიერის ბოლომდე ამ გუნდში დავრჩე.

**— ზაფხულიდან მოყოლებული, თითქმის ყველა მატჩში თამაშობთ და გოლები გაგაქვთ. არ დაიღალეთ?**

— რა თქმა უნდა, ვიღლები — რობოტი ხომ არ ვარ, თუმც 22 წლის კაცისთვის ძალების აღდგენა ჯერჯერობით იოლია. ამ საქმეში კლუბის ექიმებიც მეხმარებიან.

— „მილანს“ ვერ გაუტანეთ, სამაგიეროდ, „ვალენსიასთან“ შეხვედრაში ესპანელმა გულშემატკივარმა ტაშით გაგაცილათ.

— დერბიში „მილანის“ დაცვამ შესანიშნავად ითამაშა, „ვალენსიასთან“ კი ყველაფერი კარგად გამოგვივიდა. მეტოქე გუნდის ქომაგთა ტაშის დამსახურება ფრიად სასიამოვნოა.

— დიდი ხნის შესვენების შემდეგ გოლების გატანა კრისტიან ვიერიმაც დაიწყო. შეიძლება ითქვას, რომ თქვენ ერთმანეთს კარგად უგებთ?

— იდეალურ შეთამაშებამდე საქმე ჯერ არ მისულა. ამას დრო სჭირდება, დრო კი საამისოდ ცოტა გვქონდა. ადრეც მითქვამს, რომ ჩვენგან კარგი შემტევი წყვილი გამოვა, ზოგიერთი კი საპირისპიროს ამტკიცებდა. მისი გოლები ძალიან გამიხარდა, რადგან ვიერიმ ეს დაიმსახურა.

## ადრიანოს გოლები

| თარიღი | მატჩი | ტურნირი | შედეგი | გოლი | წუთი |
|---|---|---|---|---|---|
| 8 ივლისი | ბრაზილია — ჩილე | კოპა ამერიკა | 1:0 | 0 | 90 |
| 11 ივლისი | ბრაზილია — კოსტა რიკა | კოპა ამერიკა | 4:1 | 3 | 90 |
| 14 ივლისი | ბრაზილია — პარაგვაი | კოპა ამერიკა | 1:2 | 0 | 90 |
| 18 ივლისი | ბრაზილია — მექსიკა | კოპა ამერიკა | 4:0 | 2 | 90 |
| 21 ივლისი | ბრაზილია — ურუგვაი | კოპა ამერიკა | 1:1 | 1 | 90 |
| 25 ივლისი | ბრაზილია — არგენტინა | კოპა ამერიკა | 2:2 | 1 | 120 |
| 12 აგვისტო | ბაზელი — ინტერი | ჩემპიონთა ლიგა | 1:1 | 1 | 90 |
| 25 აგვისტო | ინტერი — ბაზელი | ჩემპიონთა ლიგა | 4:1 | 2 | 85 |
| 5 სექტემბერი | ბრაზილია — ბოლივია | მსოფ.ჩემპ.შესარჩევი | 3:1 | 1 | 90 |
| 11 სექტემბერი | კიევო — ინტერი | სერია A | 2:2 | 1 | 90 |
| 14 სექტემბერი | ინტერი — ვერდერი | ჩემპიონთა ლიგა | 2:0 | 2 | 90 |
| 18 სექტემბერი | ინტერი — პალერმო | სერია A | 1:1 | 1 | 90 |
| 22 სექტემბერი | ატალანტა — ინტერი | სერია A | 2:3 | 1 | 90 |
| 26 სექტემბერი | ინტერი — პარმა | სერია A | 2:2 | 0 | 90 |
| 29 სექტემბერი | ანდერლეხტი — ინტერი | ჩემპიონთა ლიგა | 1:3 | 1 | 68 |
| 3 ოქტომბერი | რომა — ინტერი | სერია A | 3:3 | 0 | 90 |
| 10 ოქტომბერი | ვენესუელა — ბრაზილია | მსოფ.ჩემპ.შესარჩევი | 2:5 | 1 | 22 |
| 13 ოქტომბერი | ბრაზილია — კოლუმბია | მსოფ.ჩემპ.შესარჩევი | 0:0 | 0 | 30 |
| 17 ოქტომბერი | ინტერი — უდინეზე | სერია A | 3:1 | 2 | 90 |
| 20 ოქტომბერი | ვალენსია — ინტერი | ჩემპიონთა ლიგა | 1:5 | 1 | 82 |
| 24 ოქტომბერი | მილანი — ინტერი | სერია A | 0:0 | 0 | 90 |

## ფეხბურთის რუკასთან

ერთ საათში ეპიცენტრმა ძიუდოს დარბაზიდან აკადემიისაში გადაინაცვლა, მაგრამ უშუალოდ დარბაზში შესვლამდე საქმის გარჩევა და „გამო ვილაპარაკოთ" დერეფანში გაგრძელდა. მოქმედი პრეზიდენტისა და პრეზიდენტობის კანდიდატ დილარ ხაბულიანის მომხრეები მანდატის მქონეებს დარბაზისკენ ეპატიჟებოდნენ. მეორე კანდიდატის, დავით ხახალეიშვილის ხალხი ერთხანს ამის კატეგორიული წინააღმდეგი იყო, ხოლო შემდეგ დარბაზს მაინც მიაშურა იმ იმედით, რომ, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, არაკანონიერ არჩევნებს ჩაშლიდნენ.

ყრილობა ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა დილარ ხაბულიანმა გახსნა, მაგრამ დღის წესრიგის შესახებ სიტყვის ჩამოგდებამდე ხახალეიშვილმა სასწრაფოდ ხმის უფლების მქონეთა აღრიცხვა მოსთხოვა და დაახლოებით ოცი წუთი სიის კითხვაში ჩაილია. ხახალეიშვილის მომხრეებს რეგისტრაცია არ გაუვლიათ და როცა დარბაზში მყოფ ასეთ ხალხს ამ პროცედურის შესრულება მოსთხოვეს, იძულებულნი გახდნენ, ყრილობა დაეტოვებინათ. პირველი მათგანი ამირან ტოტიკაშვილი იყო, რომელსაც ხაბულიანმა უმანდატოდ ჯდომის ნება არ დართო. როდესაც სია ხახალეიშვილამდე მივიდა, ამ უკანასკნელს მანდატი უკვე დახეული ჰქონდა, თუმც გამონაკლისის სახით დარბაზში მაინც დატოვეს და სიაში კითხვის ნიშანი დაუსვეს.

პლუს-მინუსიანთა და კითხვის ნიშნიანთა რაოდენობის დათვლის შემდეგ გაირკვა, რომ 85 მანდატიანიდან ხმის მისაცემად მზად 62 ყოფილა. ძიუდოს ფედერაციის წესდების თანახმად არჩევნების ჩასატარებლად ხმის უფლების მქონეთა ორი მესამედია საჭირო და რადგან საქმეს 57 დელეგატი სჭირდებოდა, კვორუმი შედგა.

ხაბულიანმაც სწრაფადვე გენერალურ მდივან ანზორ მარტყოფლიშვილს უხმო და მოსთხოვა, დამსწრეთათვის დღის წესრიგი გაეცნო. ხახალეიშვილმა კი, მიუხედავად პრეზიდენტის წინააღმდეგობისა, მაინც იძალა და დელეგატებს ყრილობის უკანონობა აუწყა, თან გვერდით მყოფი იურისტიც მოიშველია. მათი არგუმენტებით, პრეზიდიუმმა არჩევნები უკანონოდ დანიშნა, რისი დამამტკიცებელი საბუთიც იქვე წარმოადგინეს და ყრილობის შეწყვეტა და არჩევნების ორი კვირით გადადება მოითხოვეს.

პრეზიდენტი და მისი მომხრეები, ცხადია, ამ აზრს არაფრით დაეთანხმნენ. ხაბულიანმა მოწინააღმდეგეს სიმართლის საპოვნელად სასამართლოსკენ მიუთითა და უფრო მკაცრად მოითხოვა დღის წესრიგი წაეკითხათ. მარტყოფლიშვილმაც უფრო ხმამაღლა დასჭექა და ხახალეიშვილს და მის მომხრეებს ისღა დარჩენოდათ, დარბაზი დაეტოვებინათ. თუმც გასვლამდე კანდიდატმა ბოლო სიტყვა ითხოვა:

დავით ხახალეიშვილი — „საჩივრის შეტანას არ ვაპირებ, მაგის კაცი არა ვარ და ამას ძიუდოს სამყაროსაც არ ვაკადრებ, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ბერკეტი ჩემს ხელშია. არც იმას ვიკადრებდი, რომელიმე დელეგატთან მისულიყავი და მეთქვა, ხმა მომეცი-მეთქი. ეს ყრილობა და არჩევნები წინასწარაა დადგმული, რომლის რეჟისორიც დილარ ხაბულიანია. ყველაფერი ისე გაკეთდა, აუცილებლად მას რომ მოეგო. ელემენტარულად, სია შედგა ისე საოცრად, რომ ვერანაირ გამართლებას ვერ მოუძებნის კაცი. ხმის უფლება მისცეს ხალხს, რომლებსაც ეს არ ეკუთვნოდათ, ბევრი ღირსეული კი გვერდზე დატოვეს. რატომ? იმიტომ, რომ იცოდნენ, ღირსეულები მათი მხარდამჭერები არ იყვნენ. იგნორირება გაუკეთეს დასავლეთის რამდენიმე რაიონს, აფხაზეთს, ქალთა ძიუდოს, რომლის პრიორიტეტზეც ლამის ყოველ დღე საუბრობენ და ოლიმპიურ ნაკრებს. დაივიწყეს მწვრთნელები, რომლებიც ასეთ უყურადღებობას ნამდვილად არ იმსახურებდნენ.

...ძიუდო მუდამ ერთ მუშტად შეკრული ოჯახი იყო და არ მინდა, ეს ტრადიცია ჩემით დაირღვეს. ამიტომაც არ მივმართავ სასამართლოს. მერე რა, რომ ახლა წარმატებული პერიოდია და ცუდ რამეებზე საუბარი ცოტა უხერხულია. ათენის მედლებით რომ თავს ვიწონებთ, იქვე არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ 14 წელი თითქმის ყველა რეგიონი პარალიზებულია. ყველამ მშვენივრად იცით, ამათ თვით ოლიმპიური ნაკრების წევრებიც არ უჭერენ მხარს. ძიუდოში მოტრიალე ერთი ნორმალური კაციც არ მეგულება, ამათი მომხრე იყოს. ამიტომაც დაუშვეს ხმების დანაწილებისას ამდენი შეცდომა. ეშინიათ, მართლა მოაზროვნე, შემართული თაობის და ამიტომაცაა, დარბაზში არც ერთი ახალგაზრდა რომ არ ზის.

...მაინტერესებს, ვინც დარბაზში რჩებით და მანდატების აფრიალებას აპირებთ, გულის სიღრმეში რას ფიქრობთ, ან მერე თვალებში როგორ უნდა შემომხედოთ? ამ ხალხს 4 წელიწადში ერთხელ ახსენდებით, მაშინ, როცა თქვენი ხმა სჭირდებათ და ცდილობენ, ყველანაირად მოგთაფლონ. ამჯერად ხალიჩებით გიხვევენ თვალს. იმ ხალიჩებით, სინამდვილეში პრეზიდენტისგან რომ მოდის საჩუქრად."

ხახალეიშვილის ამ განცხადებამ დარბაზში მჯდომ რამდენიმე ადამიანზე მართლა იმოქმედა და მასთან ერთადაც დატოვეს ყრილობა. მთავარი მოულოდნელობა კი ის იყო, რომ მათ შორის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტი თემურ ხუბულურიც აღმოჩნდა. მანამდე ხაბულიანის მხარდამჭერმა და მის გვერდით მჯდომმა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა პოზიცია შეიცვალა და ხახალეიშვილის მომხრეებში გაერია.

„ლაფსუსები რომ იყო, ვიცოდი, მაგრამ ახლა ყველაფერი თვალნათლივ დავინახე. ჩემი აზრით, არჩევნები აუცილებლად უნდა გადადებულიყო და რომ მივხვდი, ასე არ მოხდებოდა, დარბაზი ამიტომ დავტოვე. ისეთ ხალხს გაუკეთეს იგნორირება, მე იქ ვერაფრით ვერ გავჩერდებოდი" — გვითხრა უკვე შენობიდან გამოსულმა ხუბულურმა, რომელიც ცნობილი სპეციალისტების, საქართველოს ნაკრების რამდენიმე ძიუდოისტისა და ხახალეიშვილის შორიახლო მოვიხელთეთ. მერე კი დარბაზს მივუბრუნდით და არჩევნებსაც მივადევნეთ თვალი.

ხაბულიანის მოწინააღმდეგე მხარიდან იქ მხოლოდ ხახალეიშვილის იურისტი და მწვრთნელი გურამ მოდებაძე შებრუნდნენ. პირველი მხოლოდ მოსასმენად, ხოლო მეორე თავისი პოზიციის კიდევ ერთხელ დასაფიქსირებლად, თუმც ამის შემდეგ მოდებაძემ სწრაფადვე დატოვა ყრილობა.

კენჭისყრა კი მშვიდად ჩატარდა და ყველა გადაწყვეტილება ერთსულოვნად იქნა მიღებული. დილარ ხაბულიანს, მის მიერ ვიცეპრეზიდენტებად დატოვებულ შენგელი ფიცხელაურსა და შოთა ჩოჩიშვილს, აგრეთვე თემურ ხუბულურის შემცვლელ გია ნაცვლიშვილს ყველა მანდატიანმა დაუჭირა მხარი. ანზორ მატყოფლიშვილიც ულაპარაკოდ დარჩა გენერალურ მდივნად. პრეზიდიუმში კი 36 კაცი შეიყვანეს, შვიდს მალე მიამატებენ და ახალი ოთხწლიანი მუშაობისთვის მომართული გუნდის სრული შემადგენლობაც საბოლოოდ გაირკვევა.

ყრილობა ახალი პრეზიდენტის, ვიცეპრეზიდენტებისა და ნაკრების მწვრთნელის შოთა ხაბარელის გამოსვლებით დასრულდა.

დილარ ხაბულიანი — „ძიუდოს სამყაროში განხეთქილებაზე საუბარი ზედმეტია. ყველა სადავო საკითხს პრეზიდიუმი წყვეტს და, ჩემი აზრით, ამას თავს კარგადაც ართმევს. კრიტიკა უნდა იყოს, მაგრამ მასაც აქვს საზღვარი. ოთხი წელია, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე და საერთაშორისო ტურნირებზე უმედლოდ არ დავრჩენილვართ. ფედერაციის მუშაობის შესაფასებლად მთავარია შედეგი, შედეგი კი სახეზეა. ახალგაზრდებს იგნორირებას არავინ უკეთებს. ჩვენ მართვის რეგიონალურ პრინციპზე გადავდივართ და კარგი იქნება, თუ ამაში დაგვეხმარებიან. თუ გვერდით დაგვიდგებიან, მოხარულები ვიქნებით."

**ოთარ მაღლაკელიძე**




დავით ხახალეიშვილმა დელეგატის მანდატი დახია

# ირანული ფარდობითობა

## არჩილ ჟღენტი ჩადრჩამოფარებულ ქვეყანას გამოერიდა



ვაჟა [illegible] ფოტო

*ირანში წამსვლელთა საყურადღებოდ: სანამ თეირანის ავიაბილეთს აიღებთ, დაფიქრდით, გილირთ თუ არა მუსლიმური ფუნდამენტალიზმის წეს-კანონებით ცხოვრება, რაც სრულიად მიუღებელია ქართველებისთვის და უფრო მეტად ევროპელთათვის. აი, ირანული გუნდების ხელმძღვანელთა დოქტრინა: ვარჯიშის შემდეგ არ დაიბანოთ, რელიგიური დღესასწაულის დღეებში საღამოს ექვს საათამდე არ ჭამოთ, ქალი დაივიწყეთ და ჭამეთ მხოლოდ ჩვენგან მორთმეული საკვები, რომელშიც, ნუ იკითხავთ და, პოტენციის დამთრგუნველი რაღაც ჯადოშენარევებია. ხალხს აღარ იკითხავთ? სპარსელთათვის ტყუილი ჩვეულებრივი ამბავია. იქ სიტყვას ფინჯანი ჩაის ფასიც არ აქვს და თუ საქმიან შეხვედრაზე დაგიბარეს და არ მოვიდნენ, მეორე დღეს წარბშეუხრელად გვტყუიან, სხვა საქმე გამომიჩნდაო, ან სულაც გვეძინაო, მოგვახლიან. ეს და ირანელთა სხვა [illegible] ტანეს, იმიტომ დაბრუნდნენ უკან სპარსეთში ბედის საძიებლად წასული არჩილ ჟღენტი, ირაკლი ჯაფარიძე და დავით ბერძენიშვილი. ირანში კიდევ რჩებიან ერთი ხეირიანი გუნდის სამყოფი ქართველები, რომლებიც, როგორც არჩილ ჟღენტი გვეუბნება, ალბათ კარგად გრძნობენ თავს, რაკი დარჩენა არჩიესო...*

— ასეთი მატყუარა ხალხი არსად მინახავს — ამბობს ჟღენტი — ირანელებს ერთი ასეთი სიტყვა აქვთ — ფარდო, რომელიც ჩვენებურად „ხვალეს“ ნიშნავს. ეს „ფარდო“ ორი-სამი კვირა გრძელდება ხოლმე და უმეტეს შემთხვევაში ისევ ტყუილით მთავრდება.

— მაშ, ირანიდან მოტყუებული დაბრუნდი?

— რა ვიცი, ასე გამოვიდა, რადგან ჩავედი თუ რა, ეგრევე ტყუილით დაიწყო ყველაფერი. ის მენეჯერი ამირი სინამდვილეში სულაც არ გახლავთ მენეჯერი — თარჯიმანია და რაღაც ტრანსფერს გაარტყამს ხოლმე. სანამ თბილისში ვიყავი, დაპირებებით მკვებავდა, ჩავედი და ორი დღე სკამზე მეძინა.

— თუ ასეთი სიტუაცია დაგხვდა, რატომ უმალვე არ წამოხვედი?

— ხომ გითხარი ჯადოსნური სიტყვა „ფარდოს“ ამბავი. ხვალ იქნებაო, გეუბნებიან და შენც, გინდა არ გინდა, უცდი.

— მაშ, ის კალათბურთელები როგორ მოეწყვნენ, რომლებსაც კონტრაქტები აქვთ და დღეს ირანში არიან?

— ვინც ადრე ჩავიდა, ზოგიერთმა დაიმსახურა კონტრაქტი, ზოგიც ჯერაც ჰაერშია გამოკიდებული. კიდევ რამდენიმე კვირა, ჩვენც რომ დავრჩენილიყავით, ალბათ მოვძებნიდით გუნდს, მაგრამ ოჯახები მოგვენატრა და ჩამოვედით.

— მაინც რა არ მოგეწონა? ეგებ მოგეცადა და რომელიმე გუნდში ჩარიცხულიყავი...

— ირანში მოსაწონი არაფერია. ხალხს თავი დავანებოთ, წესები აქვთ ისეთი, ძნელად რომ ვინმე შეეგუოს. ჩემი დაბრუნების მთავარი მიზეზი ის არის, რომ ირანში დარჩენის შემთხვევაში ცოლ-შვილს ვერ წავიყვანდი. კლუბს იმის შნო არ ჰქონდა, რომ ბინა მოეცა, იმ საერთო საცხოვრებელში კი, სადაც კლუბმა დაგვაბინავა, ქალს ფეხს არ შეადგმევინებდნენ. იმ ნახევრადსასტუმროებში ათასი საზიზღრობა ხდებოდა — აბა, რა იქნებოდა, როცა სპარსელ მამაკაცთა 80 პროცენტი ცისფერია. თურმე საჭმელში ისეთ რაღაცას ურევენ, რომ ქალი არ მოგინდეს და კაცებიც, უნდათ თუ არა, ქალისკენ არ იყურებიან.

— ამას ყველა საჭმელში ურევენ?

— არა, კლუბმა შეუკვეთა ალბათ სასტუმროს მზარეულებს, თორემ ქალაქში ჩვეულებრივი საკვები იყიდება. ეს რომ გავიგეთ, სასტუმროში რაღა გვაჭმევდა, ბოლოს და ბოლოს, რა ვიცოდი, რას ურევდნენ საჭმელში?

— ყველა კლუბში ეგეთი სიტუაციაა?

— არა. სხვათა შორის, გავიგე, რომ ვაკო ბეჟანიშვილი და კოტე ტულუში კარგად არიან. ვაკოს კონტრაქტი კარგა ხანია, გაუფორმეს, ამირმა წამოსვლის წინ გვითხრა, ტულუშიც აიყვანესო. ისე, ამირის უკვე აღარაფერი მჯერა. ზურაბ ჩუბინიძეს მგონი არა აქვს კონტრაქტი, მაგრამ მაინც თამაშობს, ვახტანგ მინაშვილს კი ცალმხრივად ხელმოწერილი ხელშეკრულება აქვს, კლუბს ჯერ არ მოუწერია.

— შენ რომელ კლუბში ვარჯიშობდი?

— თეირანის გუნდი იყო. თავიდან ამირმა რომ უთხრა მწვრთნელს, მოთამაშე ჩამოვიყვანე და უნდა განახოო, პირველ ორ დღეს არ მოსულა. გვეუბნებოდა, მიდით დარბაზში და მოვალო, მაგრამ მერე რაღაცეებს იმიზეზებდა. რომ მოვეწონე, მერე რაღაც გადმორიცხვებს ველოდებიო, მითხრა, მოკლედ, დროს აჭიანურებდა. ყველაფერი ძალიან მომბეზრდა, თბილისი და ოჯახი მომენატრა.

— ყველაზე უცნაურად რა მოგეჩვენა ირანელთა ცხოვრების წესში?

— ჩემთვის თავიდან ბოლომდე მიუღებელია იქაური ცხოვრების წესი. ქალები ხომ ჩადრებით დადიან და თეატრში ცალკე სექტორში სხედან. მათთვის ასევე ცალკე ტრიბუნაა გამოყოფილი საკალათბურთო დარბაზებში. ავტობუსშიც ცალ-ცალკე სხედან და დგანან. მოკლედ, საშინელებაა. ვარჯიშის შემდეგ დაბანას გვიშლიდნენ, წადით და თქვენს ოთახებში რაც გინდათ, ის გააკეთეთო. ახლა კიდევ რელიგიური დღესასწაული რამადანი დაიწყო და საღამოს ექვს საათამდე ვერსად შეჭამდი...

— ახლა რას აპირებ?

— ძალიან მიხარია, საქართველოში რომ ვარ, ჩემს ოჯახთან და ახლობლებთან ერთად. რომელიმე ქართულ გუნდს შევუთანხმდები და ვითამაშებ ჩემთვის. არაა გამორიცხული, რუსთავის გუნდს დავუბრუნდე.

**ირაკლი პერტაია**

# დანი რა დონეა?

## ფაჩულიამ პორტერი ჩააფიქრა

**მოახლოვდა** ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატი და კლუბების მწვრთნელები დიდ განსჯაში არიან, თუ ვინ დასვან სკამზე და ვინ ჩასვან ხუთეულში. ჩვენი ყურადღება „მილუოკისკენაა“ მიპყრობილი, სადაც ზაზა ფაჩულიას ნაბიჯილა აშორებს „ბაქსის“ ხუთეულამდე და იქ ადგილის დასაჯავშნად ერთი ხელის გაქნევაღა სჭირდება დარჩენილ ორ საგამოფენო მატჩში.

„ხარირემთა“ მწვრთნელმა ტერი პორტერმა ოთხ პოზიციაზე უკვე დასახელა დამწყებნი, ხოლო ცენტრს რომ მიადგა, დილემის წინაშე აღმოჩნდა — გაძურიჩი თუ ფაჩულია?

მაშ ასე, მილუოკელთა ხუთეულს უკვე დასახელებული ოთხეული ასეთია: გამთამაშებელი — მაიკ ჯეიმსი, მსროლელი — მაიკლ რედი, ფრთა — კიტ ვან ჰორნი, თავდამსხმელი — ჯო სმიტი და ცენტრი — ფაჩულია ან გაძურიჩი.

არის კიდევ ორი მაღალი კაცი „მილუოკიში“ — დანიელ სანტიაგო და ზენდონ ჰამილტონი, მაგრამ ამ უკანასკნელს ტრავმა აქვს, სანტიაგო კი, თუ მილუოკურ პრესას მივენდობით, თითქმის უშანსოდაა.

„სანტიაგოს შესაძლებლობები კარგად იციან მილუოკელებმა, მან წინა სეზონში 54 მატჩი ითამაშა, მაგრამ ახლა უფრო მეტ ინტერესს ზაზა ფაჩულია იპყრობს — წერს „ჯორნალ სენტინელი“ — სანტიაგო სასტარტოში იყო „მილუოკის“ საწყის ორ საგამოფენო მატჩში, მაგრამ მერე ფაჩულია და გაძურიჩი გამოჩნდნენ, რომლებმაც უფრო შედეგიანად და თავდაჯერებულად ითამაშეს.“

ტერი პორტერი ფაჩულიასა და გაძურიჩის თამაშზე აკეთებს კომენტარს, რაც იმას ნიშნავს, რომ ხუთეულისთვის ცენტრს ამ ორი გოლიათისგან აარჩევს.

„ვფიქრობ, ზაზამ ძალიან კარგად ითამაშა როგორც საზაფხულო ლიგაში, ასევე საგამოფენო მატჩებში — ამბობს პორტერი — მე ვიტყოდი, რომ მისი შედეგიანი თამაში ჩვენთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო. ძალიან გაგვიმართლა ამ ტრანსფერში. ფაჩულიას სახით მეტად საჭირო მოთამაშე შევიმატეთ. ის ახალგაზრდაა და სურს, კარგად ითამაშოს. ფაჩულია არაფერს იშურებს მიზნის მისაღწევად, ბეჯითად შრომობს და მოწოდებულია სწავლისთვის.“

პორტერი ქართველ ცენტრს საკმარისზე მეტად აქებს, თუმც არ ივიწყებს გამოცდილ დან გაძურიჩსაც: „დანი საკმაოდ მაღალია, მაგრამ წონა აკლია. გამოცდილია, მრავალ ბრძოლაში გამობრძმედილი და ჯერ არ ვიცი, მას დავაყენებ სასტარტოში თუ ფაჩულიას. ზაზა საკმარისად სწრაფია, მაგრამ იშვიათად აფარებს. ფიზიკური ძალა ფაჩულიას დაცვით თამაშში ეხმარება.“

რაკი შედარებააო, ჟურნალისტები უახლოეს მატჩებს იხსენებენ და ფაჩულიას უპირატესობაზე მიანიშნებენ: „ბოლო საგამოფენო მატჩებში გაძურიჩსაც მოუწია დალასელი ერიკ დამპიეს წინააღმდეგ თამაში და ფაჩულიასაც. ზაზამ 24 წუთში 11 ქულა და 9 მოხსნა მოაგროვა, როცა დამპიეს ანგარიშზე 10 ქულა და ამდენივე მოხსნა იყო. გაძურიჩმა კი დამპიეს წინააღმდეგ ოდენ 6 ქულისა და 9 მოხსნის მოგროვება შეძლო, როცა დალასელმა ცენტრმა ორმაგი დუბლი შეასრულა.“

როგორც ხედავთ, ჟურნალისტების სიმპათია ოდნავ იხრება ფაჩულიასკენ, მაგრამ გადამყვეტი ხმა ხომ, ცხადია, პორტერს ეკუთვნის. ფაჩულია ხომ ასე ახლოსაა ხუთეულთან, მაგრამ არ ბაქიაობს: „ჩემი მიზანია, მთელი ენერგია და გული დავდო მოედანზე და მნიშვნელობა არ აქვს, ამას სათადარიგო სკამიდან შესული გავაკეთებ, თუ თამაშს სასტარტოში დავიწყებ. ხუთეულის დასახელება მწვრთნელის საქმეა და არ მინდა წინასწარ რამის თქმა. მხოლოდ იმას ვიტყოდი, რომ ყველაფრისთვის მზად ვარ.“

პორტერს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ზუსტად ერთი კვირა დარჩა —



ტერი პორტერს ზაზა ფაჩულია თვალში მოუვიდა

მომავალ ოთხშაბათს „მილუოკი“ სეზონის პირველ მატჩს სწორედ ფაჩულიას ყოფილ გუნდ „ორლანდოსთან“ თამაშობს. მანამდე კი „მილუოკი“ ორ საგამოფენო მატჩს გამართავს — ერთს ამ გამთენიისას ითამაშებდა „მინესოტასთან“ და ერთსაც ხვალ მემფისში წაიბურთავებს. ფაჩულიას ბედიც ალბათ ამ მატჩებში გადაწყდება.

**ირაკლი პერტაია**




როჯერ ფედერერი და გრეგ რუზეცკი: პირველს მწვრთნელი არ სჭირდება, მეორეს ბევრი სჭირდება

# რა სარგებლობა მოაქვს მწვრთნელს?

## ფედერერისთვის არაფერი

**წლევანდელი** უიმბლდონობის ფინალური შეხლის მესამე სეტში ენდი როდიკი და როჯერ ფედერერი წვიმამ გაჰყარა. გაყრის მომენტისთვის ორივეს თითო-თითო სეტი მოეგო, ხოლო მესამეში ამერიკელი უპირატესობდა — 4:2. საზოგადოდ მეჩოგნეებს მატჩის მსვლელობისას მწვრთნელთან გასაუბრების უფლება არა აქვთ, მაგრამ „საწვიმარი პაუზებისას“ ეს აკრძალვა იხსნება. ზემოთხსენებული პაუზისას როდიკმა, რასაკვირველია, თავის მწვრთნელს, ამქრის ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტ ბრედ გილბერტს მიმართა. ფედერერს კი მწვრთნელი არ ჰყოლია და ისევ საკუთარ მეხსიერებაში ჩაღრმავება მოუხდა. რა უნდა გახსენებოდა მაშინ კაცთა პირველოსანს? — უსათუოდ ის, თუ როგორ აჯობა მან როდიკს 2003 წლის უიმბლდონურ ნახევარფინალში! იმ მატჩში მან ამერიკელი მოაწოდე-მიეძალე ყაიდის ჩოგნაობით დაჩაგრა. ბუნებრივია, ამის გამხსენებელს სხვა არაფერი დარჩენოდა, თუ არა ის, რომ კორტზე მობრუნებისას სწორედ ასევე — მძლავრი მოწოდების შემდეგ ბადესთან მიძალებით ეთამაშა. შედეგი კი ალბათ თქვენც გეხსომებათ — ნაწვიმევს ფედერერმა მესამე სეტიც გარდატეხა და მერე მეოთხეც იოლად მიითვალა.

ეს საინტერესო ეპიზოდი ჩოგბურთზე მწერალთა შორის ერთ მნიშვნელოვან კითხვას ბადებს — მწვრთნელი მეჩოგნისთვის წარმატების აუცილებელი წინაპირობაა თუ უბრალოდ ძვირადღირებული ფუფუნება?!

როჯერ ფედერერის მაგალითი თითქოს ამ კითხვის მეორე ალტერნატივის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს. ის ხომ ერთადერთია კაცთა ზეორმოცდაათეულიდან, ვინაც მთელი წლევანდელი სეზონი უმწვრთნელოდ ჩაითამაშა, მაგრამ ამის მიუხედავად საამმომენტოდ ათ, აქედან სამ სადიდმუზარადო ტიტულს დაიკვეხს.

თუმცა ფედერერი იმდენად ნიჭიერი და სრულყოფილი მეჩოგნეა, რომ მისი მაგალითი „საშუალო არითმეტიკული“ ჭეშმარიტების დასადგენად ვინძლო გამოსადეგი არც იყოს.

„მე ვიცი, რომ კარგად თამაში მწვრთნელის გარეშეც შემიძლია — ამბობს ის თავად — იმაში, რომ უკვე აბსოლუტურად ჩამოყალიბებული მოთამაშე ვარ, შარშან, პირველი დიდი წარმატების შემდეგ დავრწმუნდი. ახლა მე ეჭვი არ მეპარება, რომ ყველა პრობლემას საკუთარი ძალებითაც გავუმკლავდები.“

უმწვრთნელოდ წარმატებული თამაში ტალანტის გარდა სწორედ პრობლემათა გადაწყვეტის უნარს მოითხოვს.

„როცა გვერდზე მრჩეველი არ გყავს, შენ თავად უნდა განსაზღვრო, როგორ გსურს თამაში და თავადვე უნდა შეიმუშავო სტრატეგია ამ, შენთვის სასურველი თამაშის განსახორციელებლად“ — ამბობს ტიმ ჰენმანი.

დახვეწილი ბრიტი დიდხანს ამაოდ ცდილობდა, თავისი ჩოგბურთის რაობაში გარკვეულიყო და შესაბამისი სათამაშო სტრატეგია ჩამოეყალიბებინა. შარშან ოქტომბერში, როცა ბაზელის ტურნირზე დავიდ ნალბანდიანისგან იძლია, მან საშველად თავის მეგობარ პოლ ანაკონეს უხმო. მეგობარმა მას რამდენიმე დღეში ყველაფერი ისე მკაფიოდ აუხსნა, რომ ერთი კვირის თავზე ჰენმანმა პარიზულ მასტერსტურნირზე იმარჯვა. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი ყოფილა — ანაკონეს მიერ დამოძღვრილმა ჰენმანმა წლეულს სულ მთლად დაგლიჯა და ყველაფერთან ერთად საფრანგეთის ღია პირველობის ნახევარფინალსაც კი უწია, რაიც ადრე — თამაშის მისეული ყაიდიდან გამომდინარე — დასტურ წარმოუდგენელი ამბავი გახლდათ.

ჰოდა, ეს პოლ ანაკონე თვლის, რომ როჯერ ფედერერს ადრე თუ გვიან მწვრთნელი ისევ აუცილებლად დასჭირდება: „ის ახლა საოცრად თავდაჯერებულია, მაგრამ რაღაც მომენტში ყველაფერი შეიძლება, ისევ უკუღმა წავიდეს და მაშინ მას მწვრთნელის ხელახლა აყვანაც მოუწევს.“

1968 წლამდე ანუ მანამ, სანამ ჩოგბურთი პროფესიულ თამაშად იქცეოდა, მწვრთნელი მართლაც ძვირადღირებული ფუფუნება იყო. ვითარება შუა სამოცდაათიანებიდან შეიცვალა, ხოლო შუა ოთხმოციანებიდან, როცა საპრიზო თანხები კიდევ უფრო გაიზარდა, მწვრთნელთა ამქარიც უფრო მრავალრიცხოვანი შეიქნა. სადღეისოდ კი მწვრთნელი ჩოგბურთის მიუცილებელი მუდმივაა. მათგან მრავალი ყოფილი მეჩოგნეა, ხოლო ზოგიერთი — ვთქვათ, ორასინ უილიამსის მსგავსად — მწვრთნელობამდე მშობლობის გავლით მივიდნენ.

მწვრთნელთა საშუალო შემოსავალი წელიწადში 50 ათასი დოლარია, ხოლო ზეპურ მეჩოგნეთა მწაფავებს — შესაძლოა — სულაც ნახევარ მილიონამდეც მოუგროვდეთ. ეს კი უკვე მეტისმეტიაო, ამბობს მოჯანყე ვეტერანი უეინ ფერეირა: „ჩვენ დონეზე ის, რასაც ეგენი აკეთებენ, ძალიან უმნიშვნელოა, ასე რომ, არა მგონია, მწვრთნელი მართლაც ასე საჭირო იყოს.“

რაში იღებენ ფულს მწვრთნელები? პირველ რიგში, ისინი მეჩოგნეებს სათამაშო გეგმების შემუშავებასა და ცალკეულ დარტყმათა სრულქმნაში ეხმარებიან. მეორეც, ისინი მათ ალჭურვილობაზე, სპარინგ-პარტნიორთა შერჩევასა და სხვა, საკუთრივ არასაჩოგნაო რამე-რუმეებზეც ზრუნავენ.

მწაფავებსა და მოწაფეებს შორის ურთიერთობები ადვილად ფუჭდება და გაყრებიც ხშირად ხდება ხოლმე, იმდენად ხშირად, რომ კაცთა ამქრის გაზეთში შესაბამისი რუბრიკაც კი არსებობს — „სამწვრთნელო კარუსელი“.

ცნობილია, რომ ყველაზე ხშირად მწვრთნელებს გრეგ რუზეცკი იცვლის — ბოლო შვიდი წლის განმავლობაში მას ოთხი მწვრთნელი ჰყავდა. ჭირვეულია მარატ საფინიც. ჯენიფერ კაპრიატიმ კი წლეულს გაზაფხულზე მშობელი მამა დაითხოვა, მის სანაცვლოდ შტეფი გრაფის ნამწვრთნელარი ჰაინც გიუნტჰარდტი მიიღო, მაგრამ მერე მასაც დასცილდა და ახლა აშშ-ის დევისნაკრების ოდინდელ კაპიტან ტომ გალიკსონს უგდებს ყურს...

მოკლედ — კარუსელი ძალიან დიდი სიჩქარით ტრიალებს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ უახლოეს მომავალში როჯერ ფედერერი კვლავაც სიმარტოვეში იქნება.

რას იზამ, სიმარტოვე ეს ის ხარკია, რასაც გენიოსები სამყაროს მათი ტალანტების საზღაურად უხდიან.

**ლევან ძელაურაძე**

## ისევ ფედერერის თაობაზე

# როჯერს [illegible] ემხიარულება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე ყისმათიანად და ატიტულიანად ჩაგრიალებული სეზონი კაცთა ზეგარდმო პირველოსან როჯერ ფედერერს ზედ „საფინალო სასტვენამდე“ ერთი თვით ადრე წაემურდლა. ის მშობლიური ბაზელობის პირველ წრეში ჩეხ ბოლდან ულირახთან საბუქნაოდ ითელებოდა, როცა მარცხენა ბარძაყის კუნთი გაიწყვიტა და დიდ ჩოგბურთს — სულ მცირე — 10-დან 14 დღემდე გამოაკლდა. ეგ კი იმას ნიშნავს, რომ საკუთრივ ბაზელობის გარდა 23 წლის შვეიცარიელი ვერც მომდევნო კვირაში გასამართ პარიზულ მასტერსტურნირზე ითამაშებს და სრულ მზადყოფნაში ვერც 15 ნოემბერს დასაწყები ჰიუსტონობისთვის იქნება.

არადა, ბაზელში ფედერერს ვერასოდეს ემარჯვა და ამ, აწ უკვე მეტისმეტად მოძველებული ნავსის გატეხვას წლეულს აპირებდა. ალარაფერს ვამბობთ პარიზობაზე, რაიც ნიადაგ რჩეულ მეჩოგნეებს მოიკრებს ხოლმე, და წლის დამაგვირგვინებელ რვაკაცა მასტერსთასზე, რომელიც შარშანდლის დარად წლეულსაც ჰიუსტონში იმართება და საromლისო ადგილიც ფედერერმა ტურნირის ისტორიაში ყველაზე ადრე, აგვისტოში იშოვა. „რაც კი შემეძლება, ყველაფერს გავაკეთებ ჰიუსტონში სათამაშოდ — ამბობს თავად მეჩოგნე — იქ აუცილებლად გავფრინდები, მაგრამ, თუ ტრავმა არ მომიშუშდება, ცხადია, უარესის თავიდან ასარიდებლად ჩოგანს შალითიდან ვერ ამოვიღებ.“

**სანკტ-პეტერბურგის ღია პირველობა**

**ჭერქვეშა ხალიჩა. საპრიზო 1 მილიონი $**

# ლაბაძე მსაჯს შემოსწყრა

**სანკტ პეტერბურგის** მილიონიანი ტურნირი პირველივე წრეში დაასრულა ირაკლი ლაბაძემ. საუკეთესო ქართველ მეჩოგნეს პირველ და როგორც შემდეგ გაირკვა, უკანასკნელ მეტოქედ მეზობელი სომხეთის რჩეული მობურთალი სარგის სარგსიანი ერგო. ლაბაძემ დამაჯერებლად იმარჯვა პირველ სეტში, შავტუხა და ტანად მომცრო სარგსიანს 6:4 დააზრევინა ჩოგანი, მაგრამ მეორეში თავად უფრო იოლად დახარა — 1:6 დათმო და ბრძოლა მესამე სეტამდე მიიყვანა. აქ ირაკლის რამდენჯერმე უმტყუნა ნერვებმა — ნტვონლაინს თუ უყურეთ, თავადაც ნახავდით, ჩვენებურს უჭირდა დამშვიდება, მით უმეტეს, აღელვების საბაბი რამდენჯერმე მსაჯმაც მისცა. 2:4 ჩამორჩენისას, საკუთარ მოწოდებაზე არბიტრმა უეჭველი ბურთი არ ჩაუთვალა ლაბაძეს, რამაც ჩვენებური საბოლოოდ ამოაგდო კალაპოტიდან და სარგსიანი გადამწყვეტ სეტში 5:2 დაწინაურდა. ლაბაძემ ტურნირის მთავარი არბიტრიც იხმო და კარგა ხანი უმტკიცებდა თავის სიმართლეს, მაგრამ მატჩის შემობრუნება ვეღარ შეძლო. ისევ იმ 2:5 ანგარიშზე სარგსიანი 40:0 დაწინაურდა და ლაბაძემ შეძლო მეტოქისთვის სამმაგი მატჩბოლის წართმევა, მაგრამ მეტი ვეღარ მოახერხა.

ნამატჩევს ირაკლიმ ალალად ჩამოართვა ხელი სომეხ მეტოქეს, მსაჯს კი დემონსრაციულად აგრძნობინა, მაღლა კი ზიხარ, მაგრამ ცამდე მართალი არ ხარო. მის კოშკურას ჩოგანიც კი მისცხო.



## საქართველოს XV ჩემპიონატი

პირველი წრე. „ა“ ქვეჯგუფი

თელავი. 27 ოქტომბერი

ს/კ თბილისი 31:26 გორი

სტუ-შევარდენი 30:22 თელავი



ბადრი ვადაჭკორიას ფოტო

# ხელბურთი თელავშიც გახურდა

**ერთი** კვირის წინ თბილისში დაწყებული ვაჟ ხელბურთელთა ეროვნული ჩემპიონატი თელავში გაგრძელდა. თამაზ ანთაძის სახელობის სპორტთამაშების სკოლის დარბაზში „ა“ გუფის ხუთეული თამაშობს. გუშინ მორიგი ორი მატჩი გაიმართა.

საქართველოს უცვლელ, 14-გზის ჩემპიონ ტექნიკური უნივერსიტეტის „შევარდენს“, ცხადია, არ გასჭირვებია ახალგაზრდული და ჯერჯერობით გამოუცდელი გუნდის დამარცხება. ტექნიკოსთაგან რვა გოლით ყველაზე შედეგიანი იყო აკაკი ტალახაძე, ხოლო თელაველმა გიორგი ჩიკვაიძემ შვიდი ზუსტი ტყორცნა მიითვალა.

ხელბურთის კლუბმა „თბილისმა“ მეორე თამაშიც ადვილად მოიგო და სატურნირო ცხრილში დაწინაურდა.

ბომბარდირთა შორის ორ თამაშში გატანილი 20 გოლით გორელი გოჩა მშვიდობაძეა წინ.

ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სკოლის „ქარიშხალა“ გუშინ ისვენებდა.

დღეს ტურის მთავარი მატჩია „სტუ-შევარდენი“ — „თბილისი“.

| სატურნირო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 2 | 0 | 0 | 58:47 | 4 |
| სტუ-შევარდენი | 1 | 0 | 0 | 30:22 | 2 |
| თელავი | 1 | 0 | 1 | 57:51 | 2 |
| ქარიშხალა | 0 | 0 | 1 | 21:27 | 0 |
| გორი | 0 | 0 | 2 | 47:66 | 0 |



# სალამი ძველ გვარდიას!

## რობინსონმა ვარდებს გმირები დაუბრუნა

**სულ** უფრო ცოტა დრო რჩება ნოემბრის ტესტ-მატჩებამდე და გუნდებშიც ნელ-ნელა იკვეთება ძირითადი ბირთვი, რომელიც მომავალ მატჩებში საკუთარი ქვეყნის ღირსებას დაიცავს.

ინგლისელთა პრობლემებზე ადრეც ვსაუბრობდით. ბრიტანელთათვის ყველაზე დასანანი და უფრო მეტიც, დამთრგუნველი დანაკარგი გამთამაშებელი და გუნდის ახალი კაპიტანი ჯონი უილკინსონია, რომელმი ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ ისევ დაშავდა და სავარაუდოდ ნოემბრის ტესტ-მატჩებს ტრიბუნაზე შეხვდება. მიუხედავად ამისა, ინგლისელთა თავკაცმა ენდი რობინსონმა ჯონი მაინც შეიყვანა 40-კაცა განაცხადში.



ენდი რობინსონმა ხალხს ბებერი გოლიათი ბენ კეი გაახსენა

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ნაკრებს უბრუნდებიან შარშანდელი მსოფლიოს თასის გმირები — ბენ კეი, ვილ გრინვუდი და ჯეისონ რობინსონი. წლეულს ივნისის სამხრეთულ ტურნეში კლაივ ვუდვორდს ისინი რატომღაც არ გამოუძახია.

ამათი ჩათვლით რობინსონის სიაში 19 მორაგბე ირიცხება იმ გუნდიდან, რომელმაც 2003 წელს მსოფლიოს თასი მოიპოვა. ორი ახალწვეულია — მარკ კუეტო და ჰალ ჩარლტონი. გუნდში ერთბაშად 4 გამთამაშებელია, რაც ალბათ იმას ნიშნავს, რომ მწვრთნელს ნაკლებად აქვს უილკინსონის გამოჯანმრთელების იმედი.

„სიმართლე გითხრათ, ტრავმებმა მართლაც ითამაშა გარკვეული როლი განაცხადის შედგენისას, თუმცაა ნაკრებში ახალი სახეების გამოჩენა მხოლოდ ამის ბრალი არ არის. გუნდში ისეთი ახალწვეულები გვყავს, რომლებმაც გამოცდილ მორაგბეთა მხარდამხარ თამაში დაიმსახურეს“ — აცხადებს ინგლისელთა დამრიგებელი.

არანაკლებ ცხოველ მზადებაშია სამხრეთული რაგბის ერთ-ერთი მრისხანე წარმომადგენელი ახალი ზელანდია. „მაორთა“ მწვრთნელი გრეჰემ ჰენრი, როგორც ჩანს, გუნდს მნიშვნელოვნად გადაახალისებს. 32 კაციდან, რომლებიც ჰენრის განაცხადში შეუყვანია, წლეულს მხოლოდ 11-ს უთამაშია ნაკრების შემადგენლობაში. გუნდში სულ 8 ახალწვეულია, რომელთაც პირველად მოუწევთ შავი მაისურის მორგება. სამაგიეროდ, გუნდს გამოაკლდებიან გამოცდილი ნახევარმცველები ჯასტინ მარშალი და ენდრიუ მერთენსი — მწვრთნელმა მათი დასვენება გადაწყვიტა.

სიახლეა ისიც, რომ ნაკრებს დაუბრუნდა მისი ოდინდელი კაპიტანი ენტონი ოლივერი, რომელსაც ზელანდიური „ჰაკა“ 2003 წლის შემდეგ აღარ შეუსრულებია.

ახალწვეულთა სიმრავლე და გამოცდილ მორაგბეთა დასვენება ჰენრიმ სრულიად გასაგები მიზეზით ახსნა. მსურს, რომ მომავლისთვის გამოცდილ მორაგბეთა სოლიდური ბაზა შევქმნა, რაშიც მომავალი ტესტ-მატჩები დაგვეხმარებაო.

ევროპულ ტურნეს ახალი ზელანდია რომში 13 ნოემბერს იტალიელთა წინააღმდეგ თამაშით გახსნის.

ლადო ფულუკიძე



## საჭადრაკო ოლიმპიადა

ვაჟები. XII ტური

**საქართველო 2,5:1,5 რუსეთი**

ზურაბ აზმაიფარაშვილი — ალექსანდრ მოროზევიჩი 0,5:0,5
ზვიად იზორია — პეტერ სვიდლერი 0,5:0,5
ბაადურ ჯობავა — ალექსანდრ გრიშჩუკი 1:0
მერაბ გაგუნაშვილი — ვადიმ ზვიაგინცევი 0,5:0,5

ქალები. XII ტური

**საქართველო 2:1 ჩინეთი**

მაია ჩიბურდანიძე — სიუ ჟუნი 0,5:0,5
ნანა ძაგნიძე — სუ იუხუა 1:0
ლელა ჯავახიშვილი — ჩაო სუე 0,5:0,5

# მშვიდობით, ბაბუ

## რაგბის გამოეთხოვა 65 წლისა!

**ლონდონური** კლუბის „რიჩმონდის“ მორაგბე დევიდ ჩისნელი 30 ოქტომბერს უკანასკნელად გამოვა სარაგბო მოედანზე და უკანასკნელად დაიცავს თავის კლუბის ღირსებას. ამის შემდეგ კი რაგბს საბოლოოდ ანებებს თავს და ლურსმანზე ბუცების ჩამოკიდებას აპირებს.

მერე რა მოხდაო, თუ იკითხავთ, ამას მოგახსენებთ. სარაგბო ბუცები ამ კაცს უკვე ნახევარი საუკუნეა, აცვია, 1958 წლიდან დიდ რაგბის თამაშობს და აქედან 27 წელი ამჟამინდელ კლუბ „რიჩმონდში“ გაუტარებია.

65 წლის უბერებელი მორაგბის მხარდამხარა მატჩში „რიჩმონდ ჰივისის“ (კლუბის ვეტერანთა გუნდი), მისი შვილების, 35 წლის ენტონისა და 23 წლის ჯეიმსთან ერთად ნაშვილები, 31 წლის საიმონიც ითამაშებენ. ბურთს თამაშში „ბაბუა დევიდის“ 3 წლის შვილიშვილი, არჩი შეიტანს. თაობათა ცვლაც ასეთი უნდა...

„მე მომწონს რაგბის თამაში, ამით ფორმას ვინარჩუნებ და ძმაკაცებთან ურთიერთობაც ხომ საუცხოო რამაა“ — ამბობს ჩისნელი.

მშვილობით, ბაბუ!



# ტაისონზე მაგარი ვარ!

## ვიტალი კლიჩკომ მეტოქე დაინახა

**უკრაინელი** მოკრივე ვიტალი კლიჩკო ტიტულის დასაცავად ემზადება. WBC ვერსიით მსოფლიოს ზემძიმე ჩემპიონს სერიოზული გამოცდა ელის — წლის ბოლოს ბრიტანეთისა და ევროპის ჩემპიონ დენის უილიამსის წინააღმდეგ მოუწევს მუშტის გაქნევა. უილიამსმა საქვეყნო აღიარება მას შემდეგ მოიპოვა, რაც ივლისში მაიკ ტაისონი მეოთხე რაუნდში დაანოკაუტა. თვის დასაწყისში ბრიტანელის პრომოუტერები აცხადებდნენ, ბრძოლა ნიუ იორკში გაიმართებაო, თუმცა გადაწყვეტილი ამბავია, 11 დეკემბერს მეტოქეები ლას-ვეგასისა და მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე განთქმულ კაზინო „მანდალაი ბეიში“ ეკრივებიან ერთმანეთს.

„ვიტალი ძალიან შეცდა, როცა ჩემთან ბრძოლას დათანხმდა. მე მაიკ ტაისონი გავამარცხე და ნამდვილი მებრძოლი ვარ. დროა, საჩემპიონო ქამარი ინგლისში დავაბრუნო“ — იმუქრება ტაისონის წექცევით გაყოყოჩებული ბრიტი.

უკანასკნელი ბრძოლა კლიჩკომ აპრილში სამხრეთაფრიკელი კორი სანდერსის წინააღმდეგ გამართა და, მიუხედავად გამაჯვებისა, ორივე ხელის მაჯა დაიზიანა. ახლა, როგორც თავად ამბობს, ყველაფერი რიგზეა და მომავალი ბრძოლისათვის მზადაა. „მე დავამტკიცებ, რომ მსოფლიოში საუკეთესო მძიმეწონოსანი ვარ. დენი უილიამსმა მსოფლიო ტაისონის ძლევით გააოცა, მაგრამ ჩემს წინააღმდეგ იგი ვერაფერს გააწყობს“ — დახეთ, რა თავდაჯერებულია კლიჩკო.

მოწინააღმდეგებმა ერთობლივ სატელეფონო პრესკონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა. მოქმედმა ჩემპიონმა ამერიკულ მასმედიას აღუთქვა, ბრძოლას სრულ მზადყოფნაში შევხვდებიო. „კორი სანდერსთან ბრძოლისას მცირე ტრავმა მივიღე, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ ახლა, ხანგრძლივი უქმობის შემდეგ რინგს ვუბრუნდები. ამ კვირაში ვარჯიშს სრული დატვირთვით შევუდგები. ყურადღებით ვადევნებ თვალს უილიამსის კარიერას და ვიცი, ძლიერ მოწინააღმდეგესთან მაქვს საქმე. მეორეს მხრივ, მისი ბრძოლების ჩანაწერების დიდ კოლექციას ვფლობ და მეტოქე კარგად მყავს შესწავლილი. ვიცი, მისგან რას უნდა ველოდო — განაცხადა უკრაინელმა და ბოლოს ესეც დასძინა — ჩემპიონის ტიტულის მოპოვება ძნელია, მაგრამ მისი დაცვა კიდევ უფრო რთული, ამიტომ მინდა, უილიამსის წინააღმდეგ ბრძოლისას შესაძლებლობების მაქსიმუმი ვაჩვენო. ვიცი, ეს ადვილი არ არის, მაგრამ უნდა დავამტკიცო, რომ მეტოქეზეც ძლიერიც ვარ და მაიკ ტაისონზეც. მე ამისთვის მზად ვარ.“




ლადო ფულუკიძე

# ნამდვილი და მოგონილი



REUTERS ლას ვეგასიდან

ლას ვეგასში, „ალადინის“ თეატრში რადიო-მუსიკის ჯილდოებს გადასცემდნენ. ერთ-ერთ ნომინაციას კრივის ნამდვილი ლეგენდა, შუგარ რეი ლეონარდი და კრივის კინო-ლეგენდა, როკის როლის შემსრულებელი სილვესტერ სტალონე გაუძღვნენ.



REUTERS ბუდაპეშტიდან

# მწარე წამი

დიდხანს ვერ შერჩა ოლიმპიური ოქროს მედალი უნგრელ უროს მტყორცნელ ადრიან ანუსს. სპორტსმენი იძულებული შეიქნა, ჯილდო ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში მიეტანა. მიზეზი, მისი ანალიზის პოზიტიური შედეგია. თავიდან, ანუსი უარს აცხადებდა ჯილდოს დაბრუნებაზე, თუმც ოლიმპიზმის მამები უნგრეთის ოლიმპიური კომიტეტის მოკვეთით დაიმუქრნენ და უროს მტყორცნელსაც რაღა ექნა.



REUTERS ხიხონიდან

# მშვიდობის გარბენი

ხიხონში, ჩრდილო ესპანეთში ბავშვთა „მშვიდობის გარბენი“ გაიმართა და მასში ხალისით ჩაერთო ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, მაროკოელი მორბენალი ჰიშამ ელ გერუჯი. ჰიშამმა ორიოდ დღის წინ განთქმული ჯილდო, ასტურიის უფლისწულის პრემია მიიღო ოვიედოში.

# ოფიცერი უილკო

ჯონი უილკინსონმა, ინგლისის რაგბი-ნაკრების კაპიტანმა, სხვანაირად კი ყველასთვის საყვარელმა „ჩვენმა უილკომ“ ბრიტანეთის იმპერიის ოფიცრის ორდენი მიიღო ბუკინგემის სასახლეში. 25 წლის უილკინსონი ჯილდო სარაგბო საქმეში განსაკუთრებულობისთვის დაიმსახურა.



REUTERS ლონდონიდან

# წინასასეზონო

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის სეზონი ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ წინასასეზონო თამაშების ხიბლიც ის არის, რომ გუნდში ადგილების მოსაპოვებლად მებრძოლი ბიჭები, სწორედ ამგვარ თამაშებში იკლავენ თავს. აი, როგორ იბრძვიან ფინიქსელი ჯეკსონ ვრომანი და სიეტლელი დენი ფორსტონი. გამახურებლისა ამ თამაშს არაფერი ეტყობა...




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge